პროლეტარებო ყველა ქვეყნისა შეერთდით!

კომუნისტი

1920 — 1978

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

☐ ხუთშაბათი 2 ნოემბერი 1978 წ. ☐ № 258 (17302) ☐ ფასი 2 კაპ.

ენგურჰესის ამუშავების წინ

ტურბინების ოსტატები

ბევრი გამოცდილი ჰიდროშენებელი ვერ დაიტრაბახებს, რომ თავიდან ბოლომდე აუშენა 250 ათასი კილოვატი სიმძლავრის გენერატორი. ოცდაორი წლის როლანდ ომნანაძეს კი, თავის მეგობართან ვიქტორ სამოილოვთან ერთად, რომელიც მხოლოდ ორი წლით უფროსია მასზე, უკვე აუშენა ასეთი აგრეგატი.

ეს სწორედ ის № 1 აგრეგატია, რომელიც სულ რამდენიმე დღეში გამოუშვებს სამრეწველო დენს. ამჟამად იგი თავს იწონებს ენგურის „ასკოდის" მიწისქვეშა ელექტროსადგურის სამანქანო დარბაზში.

საშუალო ზომის მთელი ჰიდროელექტროსადგურის სიმძლავრის მქონე უნიკალური მანქანის შექმნის უფლება ორმა მეგობარმა მოიპოვა გამჭოლ ბრიგადებში, რომლებსაც ხელმძღვანელობენ წარჩინებული ჰიდროშენებლები, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი ვაჟა აბესაძე და ანატოლი სესინი.

ენგურის მიწისქვეშა სასაზლის მშენებლობისას მშენებლები და მემონტაჟეები დღე-ღამის მანძილზე ოთხ ცვლად მუშაობენ. ამიტომ კოლექტივი გაყოფილია დამკვრელურ ბრიგადებად, რომლებსაც მუშაობის სრიალა გრაფიკები აქვთ. სწორედ ისინი ვანსაზღვრავენ სამშენებლო-სამონტაჟო ოპერაციების საერთო გეგმის შესრულების ბეჯს. ადვილი როდია ოცდაორი წლის ასაკში უხელმძღვანელო დამკვრელურ ბრიგადებს, რომლებსაც დღე-ღამის ნებისმიერ წუთში რთული ტექნიკური საკითხების დამოუკიდებლად გადაწყვეტა უწევთ. როლანდს და ვიქტორს წლად ხვდათ ეს პატივი.

[illegible] — [illegible] ბრიგადის აგრეგატის ასამონტაჟებელ [illegible] — [illegible] უკეთებენ გარსაცმს და ამრაკეთებენ საერალურ კამერას. ზეინკლები კი ამონტაჟებენ სფერულ საკეტებს.

ტურბინების ოსტატები ღირსეულად ხვდებიან ოქტომბრის დღესასწაულს. დღეიზით „ელეშურ ისტიფეტა" გამართულ შეჯიბრებაში მათი ბრიგადები საუკეთესოებად ცნეს. მშენებლები და მემონტაჟეები ყოველ ღამეს ხვაირობენ, რათა წლის დამლევისათვის ასამუშაებლად გადასცენ ენგურჰესის 780 ათასი კილოვატი საერთო სიმძლავრის სამაგრეგატი.

განვამტკიცოთ მშვიდობის საქმე

ხალხების, მთავრობების, პოლიტიკური და საზოგადოებრივი ძალების ყურადღებას სულ უფრო მეტად იზიდავს განიარაღების პრობლემა. ამ დღეებში მთელ პლანეტაზე აქტიურად ჩაიარა განიარაღებისათვის მოქმედების კვირეულმა, რომელიც მოეწყო გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის მიმდინარე წლის ზაფხულში გამართული სპეციალური სესიის გადაწყვეტილებით და მშვიდობის მსოფლიო საბჭოს მოწოდებით. იგი აღინიშნა ნეიტრონული ბომბის წინააღმდეგ მასობრივი მოძრაობის დიდი გაქანებით, დაძაბულობის შენელების მატერიალიზაციისათვის გამოსვლებით.

სოციალისტური სახელმწიფოების, მშვიდობის ყველა მომხრის მტკიცე მეცადინეობის შედეგად სამოცდაათიანი წლების დამდეგიდან მოხერხდა პოზიტიური შემობრუნება საერთაშორისო ურთიერთობაში. საერთაშორისო ცხოვრების პრაქტიკაში დამკვიდრდა მშვიდობიანი თანაარსებობის პრინციპები. შეიქმნა რეალური შესაძლებლობანი, რომ გაღრმავდეს დაძაბულობის შენელების პროცესები, განმტკიცდეს ნდობა და თანამშრომლობა, უზრუნველყოფილ იქნეს საიმედო მშვიდობა. მაგრამ ამ პერსპექტივებს ეწინააღმდეგება გამალებული შეიარაღება, რომელიც მთელ პლანეტას მოედო.

კაცობრიობის გონება და სინდისი ვერ შეურიგდება იარაღის მარაგის დაგროვებას. სამხედრო არსენალების ზრდა, ომის ახალი, სულ უფრო დამანგრეველი იარაღისა და საშუალებების შექმნა და დაგროვება უშიშროების გარანტიას ვერ მისცემს ვერც ერთ სახელმწიფოს. უფრო მეტიც, იზრდება მსოფლიო თერმობირთვული კონფლიქტის საშიშროება. ამიტომ მშვიდობისათვის ბრძოლაში ახლა არ არის იმაზე დიდმნიშვნელოვანი და საარსებო საოცანები, ვიდრე გამალებული შეიარაღების ალაგმვა, განიარაღებაზე გადასვლა.

დიდი ოქტომბრის ანდერძის. ზავის შესახებ ლენინური დეკრეტის ერთგული ხაბჭოთა კავშირი მტკიცედ და მიზანდასახულად იღვწის, რათა შენელდეს გამალებული შეიარაღება, პრაქტიკულად ვადაწყდეს განიარაღების პრობლემები. ამ მიმართულებით დიდმნიშვნელოვანი ღონისძიებანი ხორციელდება სკკპ XXV ყრილობის მიერ მიღებული მშვიდობისა და საერთაშორისო თანამშრომლობისათვის, ხალხთა თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის შემდგომი ბრძოლის პროგრამის შესაბამისად.

„ჩვენი მხურვალე მისწრაფებაა. — აღნიშნა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავჯდომარე ლ. ი. ბრეჟნევმა, — ომის ჩუგლუგი ისე ღრმად ჩავფლათ მიწაში, რომ ვერავითარმა შავბნელმა ძალებმა ვერასოდეს ვეღარ გამოთხარონ. — ასეთ მიზანს სახავს ჩვენი წინადადებანი პოლიტიკური დაძაბულობის შენელებისა და სამხედრო დაძაბულობის შენელების შესახებ, ამაზე, რომ მოვაწყოთ ყოველისმომცველი მოლაპარაკება განიარაღების, კერძოდ, ბირთვული განიარაღების შესახებ".

საბჭოთა კავშირის სიტყვა და საქმე ერთია. ამის დასტურია კონკრეტული კონსტრუქციული წინადადებანი, რომლებიც ჩვენმა ქვეყანამ წამოაყენა განიარაღების მთავარ საკითხებზე. ფართოდ და დადებითად გამოეხმაურნენ საბჭოთა ინიციატივას ის სახელმწიფოთა შეიარაღებისა და შეიარაღებული ძალების შემდგომი რაოდენობრივი და თვისებრივი ზრდის სრული შეწყვეტის შესახებ, რომლებსაც დიდი სამხედრო პოტენციალი აქვთ. საბჭოეთის წინადადება შეაქვს მოლიანად აიკრძალოს ბირთვული იარაღის გამოცდა; შეწყდეს მისი წარმოება და დაიწყოს მისი მარაგის თანდათანობით შემცირება მის სრულ ლიკვიდაციამდე. თავიდან აიცილონ ბირთვული იარაღის შემდგომი გავრცელება; აიკრძალოს მასობრივი მოსპობის და, უწინარეს ყოვლისა, ისეთი ბარბაროსული იარაღის ახალ სახეობათა და სისტემათა შექმნა, როგორიც არის ნეიტრონული ბომბი. დიდი მნიშვნელობა აქვს საბჭოთა კავშირის მიერ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის XXXIII სესიაზე შეტანილ საკითხს არაბირთვული სახელმწიფოების უშიშროების გარანტიათა განმტკიცების შესახებ. დღის წესრიგშია საერთაშორისო ურთიერთობაში ძალის გამოუყენებლობის მსოფლიო ხელშეკრულების დადების შესახებ საბჭოთა ინიციატივაც.

ხალხები განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებენ პრაქტიკულ ღონისძიებებს. რათა აილაგოს გამალებული ბირთვული შეიარაღება, რომელიც ყველაზე მეტ საფრთხეს უქადის საყოველთაო მშვიდობახ. ამასთან დაკავშირებით უდიდესი მნიშვნელობა ენიჭებოდა საბჭოთა კავშირ-აშერიკის ახალი შეთანხმების დადებას სტრატეგიული შეტევითი შეიარაღების შეზღუდვის შესახებ. შესაბამისი მოლაპარაკება გრძელდება და, იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ წარმატებით დაგვირგვინდება.

სსრ კავშირის კეთილი ნების დადასტურებაა აგრეთვე საქმიანი, კონსტრუქციული საბჭოთა წინადადებანი ვენის მოლაპარაკებაზე ცენტრალურ ევროპაში შეიარაღებული ძალებისა და შეიარაღების ურთიერთშემცირების შესახებ. ახლა საქმე დასავლეთზეა, რომელმაც, თავის მხრივ, უნდა გამოიჩინოს პოზიტიური მიდგომა და ხელი შეუწყოს რეალური შედეგების მიღწევას მოლაპარაკებაზე, რომელიც უკვე ხუთი წელია გრძელდება.

ხაბჭოთა კავშირის ინიციატივები და წინადადებანი ერთად ქმნის კაცობრიობის ცხოვრებიდან გამალებული შეიარაღების აღმოუფხვრის ფართო და რეალისტურ პროგრამას. მათ სულ უფრო ფართოდ უჭერენ მხარს ხალხები. ბევრი მთავრობა. ხაზოგადოებრივი წრეები. ისინი საერთაშორისო დისკუსიის ღერძია. რომელიც წარმოიქმნა გაბიარაღების პრობლემის გარშემო. კანონზომიერია, რომ ამ იდეათაგან ბევრი ორგანულად შევიდა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის განიარაღების სპეციალური ხელის საბოლოო დოკუმენტში.

ხალხთა ნება ცხადია განიარაღების, საყოველთაო მშვიდობის განმტკიცების პრობლემების ბოლოდ-ბოლოს ეფექტურ შესაძლებლობანი გვაქვს. მაგრამ ჯერ კიდევ დიდია სიძნელეებიც. მათ ქმნიან იმპერიალიზმის აგრესიული წრეები. რომლებიც გამალებულ შეიარაღებას იყენებენ დაძაბულობის შენელების, თავისუფლებისა და პროგრესის წინააღმდეგ ბრძოლის ძირითად იარაღად. ინიღბებიან რა „საბჭოთა მუქარის" შესახებ ყალბი პროპაგანდით. სამხედრო-სამრეწველო კომპლექსები. პენტაგონისა და ნატოს გენერლები კიდევ ოფრო აძლიერებენ ამ გამალებულ შეიარაღებას. ახლახან ვაშინგტონში მოიწონეს ახალი რეკორდული სამხედრო ბიუჯეტი, მისცეს განკარგულება დაიწყონ ნეიტრონული ბომბის ძირითადი კომპონენტების წარმოება. დაძაბულობის შენელების მტრები ოცნობენ ხელთ იგდონ. რაც შეიძლება გრძელი და ბასრი მახვილი. შეიიარაღონ დაუბრუნდნენ გაკოტრებულ პოლიტიკას „ძალის პოზიციიდან".

ყოველივე ეს ხალხებისაგან მოითხოვს დიდ სიფხიზლის, კეთილი ნების ადამიანთა მეცადინეობის გაერთიანებას მტკიცე მშვიდობისათვის ბრძოლაში. დღეს არავის არა აქვს უფლება განზე განუდგეს ამ კეთილშობილურ საქმეს. საერთაშორისო საზოგადოებრიობის. უფართოესი პოლიტიკური ძალების აქტიური მოქმედება გამალებული შეიარაღების ალაგმვისათვის. განიარაღებისაკენ შემობრუნების მიღწევისათვის ბრძოლის წარმატების ერთ-ერთი პირობაა. მშვიდობისათვის მებრძოლთა ავანგარდშია კომუნისტის მშენებელი საბჭოთა ხალხი.

მთელ პლანეტაზე გაისმის ამ დღეებში სკკპ ცენტრალური კომიტეტის ხოჭტომბრო მოწოდება:

— მსოფლიოს ხალხებო! მიაღწიეთ, რომ ძალის გამოუყენებლობა გახდეს კანონი საერთაშორისო ურთიერთობაში, ხოლო ბირთვული იარაღი საუდამოდ აიკრძალოს! უფრო აქტიურად იბრძოლეთ მშვიდობისათვის საშიში გამალებული შეიარაღების აკრძალვისათვის, განიარაღებაზე გადასვლისათვის!

სურათზე: კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის ხელმძღვანელები ამხანაგ დ. თ. უსტინოვისათვის ჯილდოს გადაცემის დროს. ხაბლუს-ხაძინფორმის ტელეფოტო.

ამხანაგ დ. თ. უსტინოვს ჯილდო გადაეცა

1 ნოემბერს კრემლში სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრს, სსრ კავშირის თავდაცვის მინისტრს საბჭოთა კავშირის მარშალს დ. თ. უსტინოვს გადაეცა ლენინის ორდენი და საბჭოთა კავშირის გმირის „ოქროს ვარსკვლავის" medალი.

ეს მაღალი ჯილდო ამხ. დ. თ. უსტინოვს მიენიჭა დიდი სამამულო ომის წლებსა და ომისშემდგომ პერიოდში ქვეყნის თავდაცვის განმტკიცებაში კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს წინაშე გაწეული დიდი ღვაწლისათვის და დამსახურების საოცდაათ წელთან დაკავშირებით.

ჯილდო გადაეცა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავჯდომარე ლ. ი. ბრეჟნევმა.

დარბაზში ჯილდოს გადაცემისას იყვნენ ამხანაგები ი. ვ. ანდროპოვი, ვ. ვ. გრომინი, ა. ა. გრომიკო, ა. პ. კირილენკო, ა. ნ. კოსიგინი, ა. ი. პელშე, მ. ა. სუსლოვი, ბ. ნ. პონომარიოვი, მ. ს. სოლომენცევი, კ. უ. ჩერნენკო, ი. ვ. კაპიტონოვი, ვ. ი. დოლგიხი, მ. ვ. ზიმიანინი, ი. პ. რიაბოვი, კ. ვ. რუსაკოვი, აგრეთვე სსრ კავშირის თავდაცვის მინისტრის პირველი მოადგილეები ნ. ვ. ოგარკოვი, ვ. გ. კულიკოვი, ს. ლ. სოკოლოვი, საბჭოთა არმიისა და საბჭოთა-საზღვაო ფლოტის მთავარი პოლიტიკური სამმართველოს უფროსი ა. ა. ეპიშევი, სსრ კავშირის თავდაცვის მინისტრის მოადგილეები.

ჯილდოს გადაცემისის სიტყვა წარმოთქვა ამხ. ლ. ი. ბრეჟნევმა.

ლ. ი. ბრეჟნევის გამოსვლა

ძვირფასო დიმიტრი თეოდორეს ძე!

ჩვენი პარტიისა და საბჭოსმწიფოს თვალსაჩინო მოღვაწის დიმიტრი თეოდორეს ძე უსტინოვის ცხოვრებისა და შრომის გზა — ეს არის ჩვენი შეიარაღებული ძალების, საშობლოს დაცვის საქმის უანგარო სამსახურის შესანიშნავი მაგალითი.

14 წლისა იყო, როცა მოხალისედ შეეიდა წითელ არმიაში, ბაბუამ ითმაოთვე განსაზღვრა თაეისი ცხოვრების პროგრამა. შემდეგ სწავლობდა ინსტიტუტში, ეწეოდა საკონსტრუქტორო და საინჟინრო მუშაობას, ხელმძღვანელობდა უდიდეს ქარხანას — და ყოველივე ეს ქვეყნის ეკონომიკური და თავდაცვითი ძლიერების განმტკიცებასთან იყო დაკავშირებული.

შენ, დიმიტრი თეოდორეს ძე, 32 წლისა იყავი, როცა ქვეყანას შეექმნა სასიკვდილო საფრთხე — ფაშისტური შემოსევის საფრთხე. ამ მკაცრ, პასუხსაგებ ჟამს პარტიამ შენ შეიარაღების სახალხო კომისრის პოსტი მოგანდო.

განა საჭიროა იმის თქმა, თუ რა უდიდესი ამოცანები დაგეკისრა? განა საჭიროა იმის თქმა, რომ ამ ამოცანებს მხოლოდ უთავსაჩინოესი ორგანიზატორი, დიდი სპეციალისტი, მტკიცე კომუნისტი და ლენინელი გაართმევდა თავს? ეს უთქმელადაც გასაგებია.

პარტია და საბჭოთა ხალხი დიდად გიმადლიან წვლილს, რომელიც შენ შეიტანე პიტლერულ ფაშიზმსა და იაპონის მილიტარიზმზე მოპოვებულ დიად გამარჯვებაში, გიმადლიან იმ თავდადებას, რომელსაც გმრობა ჰქვია.

შენ მნიშვნელოვანი ღვაწლი მიგიძღვის საბჭოთა შეიარაღებული ძალების წინაშე, ჩვენი ქვეყნის წინაშე ომისშემდგომი პერიოდის იმ ურთულესი მეცნიერულ-ტექნიკური პრობლემების გადაჭრაში, რომლებიც თანამედროვე საომედო სახეობათა იარაღის შექმნასთან იყო დაკავშირებული. დადგება დრო, და ბევრს დაწერენ, ჩემო ძვირფასო მეგობარო, იმაზე, თუ რა მონაწილეობას იღებდი კოსმოსური რაკეტული ტექნიკის შესაქმნელად, ადამიანს — საბჭოთა ადამიანს — კოსმოსში გასაჭრელად მიმდინარე მუშაობაში.

ორი წლის წინ შენ პარტიამ თავდაცვის სამინისტროს თავკაცად დაგიყენა.

ჩვენი წუთისოფელი ასეთია, რომ ეს ახლა ერთ-ერთი ყველაზე საბრძოლო უბანია. მაგრამ ჩვენში მხედრული შრომა მშვიდობის საკეთილდღეო შრომაა. ჩვენი ძალერება ხომ არ არის და არც არასოდეს ექნება მიმართული სხვა ხალხების წინააღმდეგ. იგი მრისხანედ აფრთხილებს იმათ, ვინც ეპოტინება სხვის დოვლათს, ჩვენი ქვეყნის ინტერესებს, მთელი სოციალისტური თანამეგობრობის ინტერესებს. რაკი ოპანტიურისტები ჯერ კიდევ დამოგინობენ, ჩვენი შეიარაღებული ძალების საბრძოლო მზადყოფნასა და ბრძოლისუნარიანობაზეა დამოკიდებული მსოფლიოს მშვიდობა. მშვიდობა, რომელიც პირველი ლენინური ზავის დეკრეტიდან საბჭოეთის უმთავრესი საფიქრალი და საზრუნავია.

ვიცი, რომ ამ ჯილდოსაც ისევე ღირსეულად და მოკრძალებით ატარებ, როგორც — სოციალისტური შრომის გმირობის ორ ვარსკვლავს. მჯერა, რომ მთელ შენს გარჯას, შენს ძალებს კვლავაც მოახმარ საბჭოთა სამშობლოს, ჩვენი დიადი პარტიის კეთილდღეობას, კომუნიზმის უკვდავ საქმეს.

სულით და გულით გისურვებ კარგად ყოფნასა და დღეგრძელობას, უშრეტ ენერგიას, დიდ ადამიანურ ბედნიერებას.

საპასუხო სიტყვა წარმოთქვა ამხ. დ. თ. უსტინოვმა.

დ. თ. უსტინოვის გამოსვლა

ძვირფასო ამხანაგებო!

დიდი მადლობა ბრძანებთ და კომუნისტური პარტიის, საბჭოთა ხალხისა და მისი შეიარაღებული ძალების წინაშე მოვალეობის სრული შეგნებით ვიღებ დღეს ლენინის ორდენსა და საბჭოთა კავშირის გმირის ოქროს ვარსკვლავს.

ეს ჯილდო, ისევე როგორც ეს-ეს არის ძვირფასი ლეონიდ ილიას ძის მიერ აქ ნათქვამი გულში ჩამწვდომი სიტყვები, მიმაჩნია მაღალ შეფასებად, რომელსაც ჩვენი სამშობლოს ძლიერების გაარავლების საერთო საქმეში ჩემს მოკრძალებულ წვლილს აძლევენ პარტია და მთავრობა.

ჩემთვის, ისევე როგორც თითოეული კომუნისტისათვის, თითოეული საბჭოთა მოქალაქისათვის, ასეთ შეფასებაზე ძვირფასი და სასატიო არა არის რა.

ვამაყობ ჩემთვის გაწეული დიდი პატივით — საბჭოთა კავშირის გმირის წოდების მონიჭებით.

სულითა და გულით მინდა მადლობა გადავუხადო პარტიის ცენტრალურ კომიტეტს, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმსა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს ჩემი დაბადების დღის გამო მეგობრული, გულითადი მოსალმებისათვის.

ჩემს ნათელ და სასიხარულო გრძნობებს გასაკუთრებულ სიღრმეს ანიჭებს ის, რომ თქვენს წერილი ვიმყოფები, ამხანაგებო, რომ წიალდ მხედა ულდიესი ბედნიერება ვმუშობდე თქვენს მხარდამხარ ისეთ შესანიშნავ, ერთსულოვან კოლექტივში, როგორც არის სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს, და თანამედროვეობის გამოჩენილი პარტიული და სახელმწიფო მოღვაწის, დიდი და დიდბუნოვანი ადამიანის, ლენინური ტიპის ნამდვილი კომუნისტის — ყველა ჩვენგანისათვის ძვირფასი ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევის ხელმძღვანელობით!

სამშობლოს საპატიო ჯილდოს, რომელიც დღეს გადმომეცა, უწინარეს ყოვლისა მიეკუთვნება ჩვენს მბრძოლიურ კომუნისტურ პარტიას.

მის შეკავშირებულ საბრძოლო მწყობრში უკვე ნახევარ საუკუნეზე მეტია რაც ვარ. ყველფერი პარტიას ვუმადლი. მისგან ვსწავლობდი და ვსწავლობ თავდადებასა და სიმტკიცეს, პრინციპულობასა და მიზანდასახულობას, მუშაობაში დაუცხრომლობასა და სიბეჯითეს.

პარტიის დიადი იდეალები, ხალხის საქმისადმი მისი უსაზღვრო ერთგულება იყო და არის ჩემი ძალისა და ენერგიის წყარო.

მთელი ჩემი შეგნებული ცხოვრება განუყოფელად არის დაკავშირებული ჩვენი ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის განმტკიცებასთან, მრეწველობის თავდაცვითი დარგების მუშაობასთან, ინჟინრებთან და კონსტრუქტორებთან, საბჭოთა კავშირის სახელოვან. შეიარაღებულ ძალებთან. სწორედ ამიტომაც საპატიო ჯილდო, რომელიც დღეს მომენიჭა, ეკუთვნის ყველას, ვისი შრომითაც იქედება, თანამედროვე დონეზეა და უზრუნველყოფილია ჩვენ. საბჭოთა ხალხი.

ამ ზრუნვას საბჭოთა მეომრები დღეგანადაგ გრძნობენ და დიდად აფასებენ მას.

ნება მიბოძეთ აღგითქვათ, ძვირფასო ამხანაგებო, და თქვენი სახით კომუნისტურ პარტიას, მთელ საბჭოთა ხალხს, რომ კომუნისტური პარტიისა და მისი ლენინური ცენტრალური კომიტეტის გარშემო მჭიდროდ შეკავშირებული, სკკპ XXV ყრილობის ისტორიული გადაწყვეტილებებით აღფრთოვანებული სსრ კავშირის შეიარაღებული ძალები მუდამ იქნებიან სოციალისტური მონაპოვრების სადარაჯოზე, ფხიზლად დაიცავენ კომუნიზმის მშენებელი საბჭოთა ადამიანების შრომას.

ვიღებ რა ჯილდოს, ღრმად მაქვს შეგნებული, რომ იგი მავალებს კიდევ უფრო მეტი ენერგიითა და სიმტკიცით ვიმუშაო ჩვენი სამშობლოს თავდაცვისუნარიანობის შემდგომი განმტკიცებისათვის, შეიარაღებული ძალების საბრძოლო ძლიერების ამაღლებისათვის.

აგათქვამთ, თქვენ, ძვირფასო ამხანაგებო, რომ ისევე როგორც წინათ. მთელ ძალ-ღონეს მოვახმარ მშობლიური პარტიისა და საბჭოთა ხალხის სამსახურს, ვიბრძოლებ სამშობლოს აყვავებისათვის, კომუნისტური იდეალების გამარჯვებისათვის.

ერთხელ კიდევ გულითადი მადლობა პარტიას, მთავრობას, ხალხს, თქვენ, ძვირფასო ლეონიდ ილიას ძეო სანატიო ჯილდოსათვის.

კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს ხელმძღვანელებმა, მხედართმთავრებმა გულთბილად და გულითადად მიულოცეს ამხ. დ. თ. უსტინოვს საბჭოთა კავშირის გმირის წოდების მინიჭება, ესურვეს ჯანმრთელობა, ნაყოფიერი მოღვაწეობა კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა ხალხის საკეთილდღეოდ, მთელ მსოფლიოში მშვიდობის განმტკიცებისათვის. (საკდესი).

საოქტომბრო ნოგათი

ახალი წარმატებებით ხვდება ობილისის ავტოშუბის საწარმოო გაერთიანების კოლექტივი ოქტომბრის რევოლუციის 61-ე წლისთავს. მან 101 პროცენტით, ვადამდე შეასრულა რეალიზაციის ათი თვის გეგმა და მომხმარებელს ზეგეგმით 260 ათასი მანეთი ღირებულების ქსოვილი გაუგზავნა. შარშანდელ შესაბამის პერიოდთან შედარებით შრომის ნაყოფიერება 7 პროცენტით გაიზარდა, რითაც პროდუქციის თვითღირებულება 150 ათას მანეთამდე შემცირდა.

საიუბილეო თარიღთან დაკავშირებით სამეღბრო-გამომყვანმა წარმოებამ და ეკარდული ავტოშუბის საქსოვმა ფაბრიკამ ორი კვირით ადრე გაანაღდეს ათი თვის დავალება.

საქსოვი საამქროს მქსოველებმა ესმა ბანეთიშვილმა, ზეინაბ ნატროშვილმა, ანასტასია ხულუზაურმა, ლეილა კრიხელმა კი ხუთწლედით გათვალისწინებული პირადი ოთხი წლის დავალება საოქტომბროდ უკვე შეასრულეს.

გუშინ, გაერთიანების კოლექტივმა სასიხარულო ცნობა მიიღო — აქ დამზადებულ ხარისხისნიშნიან ქსოვილებს — „ნინოს" და „გრემს" ავტოშუბის საკაბე ქსოვილის კიდევ ერთი სახეობა — „მაგდა" შეემატა. ესეც მეაბრეშუმეთა საოქტომბრო ნოგათია.

მ. კიკნაველიძე.

„სალუტ-6" — „სოიუზ-31":

ემზადებიან დედამიწაზე დასაბრუნებლად

ფრუნზეს მარბოის ცენტრი, 1 ნოემბერი (საკდესი). კოსმონავტები ვლადიმერ კოვალიონოკი და ალექსანდრე ივანჩენკოი ამთავრებენ მუშაობას „სალუტ-6-„სოიუზ-31" ორბიტალურ სამეცნიერო-კვლევითს კომპლექსში და ფრენის პროგრამის შესაბამისად ხვალ დედამიწაზე დაბრუნდებიან.

დღეს კომპლექსის ეკიპაჟი ასრულებს „სალუტ-6" სადგურის საბორტო სისტემებისა და აპარატურის კონსერვაციის საბოლოო ოპერაციებს და ამზადებს მას ავტომატური რეჟიმით ფრენისათვის.

კოსმონავტები ამთავრებენ დასაბრუნებელი მოწყობილობისა და ფრენის დოკუმენტაციის ჩაწყობას „სოიუზ-31" ხომალდის დასაშვებ აპარატში, ეწევიან საბორტო სისტემების საკონტროლო შემოწმებას.

ეკიპაჟი აგრეთვე ვარჯიშობს ფიზიკურად და აწყობს წვრთნას ეკვატორის კოსტიუმის „ჩიბისის" გამოყენებით.

რადიოკავშირის სეანსებში ვლადიმერ კოვალიონოკი და ალექსანდრე ივანჩენკოი დედამიწას მოახსენებენ, რომ თავს კარგად გრძნობენ, რომ დაბრუნებისათვის მზადება მიმდინარეობს ზუსტად დასახული პროგრამით.

მიფრინავს „კოსმოს-1046"

1978 წლის 1 ნოემბერს საბჭოთა კავშირში გაუშვეს დედამიწის მორიგი ხელოვნური თანამგზავრი „კოსმოს-1046".

თანამგზავრზე დადგმული სამეცნიერო აპარატურა განაგრძობს კოსმოსური სივრცის კვლევას. აპარატურა ნორმალურად მუშაობს. საკოორდინაციო-გამოთვლითი ცენტრი ამუშავებს მიღებულ ინფორმაციას. (საკდესი).

მეგობრულ ვიზიტად

სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და საბჭოთა მთავრობის მოწვევით 1 ნოემბერს მოსკოვში ოფიციალურ მეგობრულ ვიზიტად ჩამოვიდა ვიეტნამის კომუნისტური პარტიისა და ვიეტნამის სოციალისტური რესპუბლიკის მთავრობის დელეგაცია, რომელსაც მეთაუროვენ ვიეტნამის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი ლე ზუანი და ვიეტნამის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, ვიეტნამის სოციალისტური რესპუბლიკის მთავრობის პრემიერ-მინისტრი ფამ ვან დონგი.

ვიეტნამის სოციალისტური რესპუბლიკისა და სსრ კავშირის სახელმწიფო დროშებით მორთულ ვნუკოვოს აეროდრომზე თვითმფრინავის კიბესთან ამხანაგებს ლე ზუანს, ფამ ვან დონგსა და დელეგაციის სხვა წევრებს გულთბადდ, ძმურად მიეგებოდნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და საბჭოთა მთავრობის ხელმძღვანელები — ამხანაგ დ. თ. უსტინოვი, ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევი, ა. ნ. კოსიგინი, ა. ა. გრომიკო, ა. პ. კირილენკო, ა. ნ. კოსიგინი, ა. ი. პელშე, მ. ა. სუსლოვი, ბ. ნ. პონომარიოვი, მ. ს. სოლომენცევი, კ. უ. ჩერნენკო, ი. ვ. კაპიტონოვი, ვ. ი. დოლგიხი, მ. ვ. ზიმიანინი, ი. პ. რიაბოვი, კ. ვ. რუსაკოვი, აგრეთვე სსრ კავშირის თავდაცვის მინისტრის პირველი მოადგილეები ნ. ვ. ოგარკოვი, ვ. გ. კულიკოვი, ს. ლ. სოკოლოვი, საბჭოთა არმიისა და საბჭოთა-საზღვაო ფლოტის მთავარი პოლიტიკური სამმართველოს უფროსი ა. ა. ეპიშევი, სსრ კავშირის თავდაცვის მინისტრის მოადგილეები.

აეროდრომზე იყვნენ ვიეტნამის სოციალისტური რესპუბლიკის პარტიისა და მთავრობის დელეგაციის შემადგენლობაში შემავალი ვიეტნამის სოციალისტური რესპუბლიკის მოსკოველი ელჩი ნგუენ ჰიუ ჭხიეუ, ლაოსის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის დროებითი საქმეთა რწმუნებული სსრ კავშირში ლი სუთხა-ვილაი.

დელეგაციას გულთბილად და გულითადად მიესალმნენ დედაქალაქის მშრომელთა წარმომადგენლები, ვიეტნამელი სტუდენტები, რომლებიც მოსკოველ უმაღლეს სასწავლებლებში სწავლობენ. პიონერებმა დელეგაციის წევრებს ყვავილები მიართვეს.

საფრენ მოედანზე გამწკრივებული იყო სამი სახეობის შეიარაღებული ძალების — ქვეითთა, მფრინავთა და მეზღვაურთა საპატიო ყარაული. შესრულდა ვიეტნამის სოციალისტური რესპუბლიკისა და სსრ კავშირის სახელმწიფო ჰიმნები.

ამხანაგებმა ლ. ი. ბრეჟნევმა, ა. ნ. კოსიგინმა, ლე ზუანმა და ფამ ვან დონგმა საბჭოთა მეომრების მწყობრს ჩამოუარეს.

დედაქალაქის ქუჩებში და მოედნებზე გამოფენილი ათიათასობით მოსკოველი მხურვალედ მიესალმებოდა ამხანაგებს ლ. ი. ბრეჟნევს, ა. ნ. კოსიგინს, ლე ზუანს, ფამ ვან დონგს. საბჭოთა კავშირისა და ვიეტნამის სოციალისტური რესპუბლიკის სხვა ხელმძღვანელებს, გაისმოდა შეძახილები ორი ქვეყნის ხალხთა ურღვევი ძმური მეგობრობის სადიდებლად, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და ვიეტნამის კომუნისტური პარტიის სადიდებლად. (საკდესი).

საუბარი კრემლში

1 ნოემბერს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრმა, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავჯდომარემ ა. ნ. კოსიგინმა კრემლში მიიღო პალესტინის განთავისუფლების ორგანიზაციის აღმასრულებელი კომიტეტის თავჯდომარე ი. არაფატი, რომელიც მოსკოვში ჩამოუძღვა პალესტინის განთავისუფლების ორგანიზაციის დელეგაციას.

საუბრის დროს, რომელმაც საქმიან მეგობრულ ვითარებაში ჩაიარა, მხარეებმა გამოთქვეს ერთნაირი აზრი, რომ ქემპ-დევიდში დადებული ამერიკა-ისრაელ-ეგვიპტის გარიგება და სინის შესახებ სეპარატული შეთანხმება, რომელიც ამ გარიგების საფუძველზე მზადდება, — ეს არის, შეთქმულება არაბთა ხალხებს უკან და მიმართულია მათი ძირეული ინტერესების წინააღმდეგ.

მხარეებმა გადაჭრით დაგმეს სეპარატულ გარიგებათა პოლიტიკა და აგრესორის წინაშე კაპიტულანტობა როგორც ისეთი მოქმედება, რომელიც სერიოზულ ზიანს აყენებს არაბ ხალხებს და უწინარეს ყოვლისა პალესტინელ ბრძოლის თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის.

ა. ნ. კოსიგინმა დაადასტურა, რომ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია და საბჭოთა სახელმწიფო უცვლელად იდგანან პრინციპულ ხაზს — ახლო აღმოსავლეთში ყოვლისმომცველი სამართლიანი მოწესრიგების მიღწევის ხაზს. როგორც მან განაცხადა, საბჭოთა კავშირი კვლავაც მხარს დაუჭერს პალესტინელ ხალხს.

პალესტინელი ხალხისა და პალესტინის განთავისუფლების ორგანიზაციის აღმასრულებელი კომიტეტის სახელით ი. არაფატმა მადლობა გადაუხადა საბჭოთა კავშირს, ძმური დახმარებისა და პალესტინის არაბი ხალხის ბრძოლის ნახარდაჭერისათვის.

მასები, კონტროლით

ნაღლის ფაფაზელი თვალი

გვერდი № 141

საბჭოთა კავშირის მშრომელებო! უფრო აქტიურად იბრძოლეთ მუშაობის ყოველ უბანზე ორგანიზებულობის ამაღლებისათვის, წესრიგისა და დისციპლინის განმტკიცებისათვის! დაზოგეთ ნედლეული, სათბობი, ელექტროენერგია, ლითონი და სხვა მასალები!

სკკპ ცენტრალური კომიტეტის სოფლისმეურნეობის მოწოდებიდან.

ხალხური კონტროლიორები სათბობსა და ელექტროენერგიას ზოგავენ

მომჭირნეობა, ყაირათიანობა

მომჭირნეობის რეჟიმისათვის ბრძოლა მუდამ იყო და არის ყოველი საწარმოს ერთ-ერთი მთავარი პრობლემა. ამ მხრივ გამონაკლისი არც ჩვენი სალოკომოტივო დეპოა. აქ ფართოდ უჭერენ მხარს ყოველივე ახალს, რაც ხელს უწყობს ამ რეჟიმის სრულყოფას. კოლექტივის მიერ ნაკისრი ვალდებულების ერთ-ერთი მთავარი მუხლია ელექტროენერგიისა და სათბობის მომჭირნეობით ხარჯვა. იგი ითვალისწინებს ელექტროენერგიის დაზოგვას 2 პროცენტით, ხოლო საწვავისას — 2.5 პროცენტით. მელოკომოტივეთა სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მათ ხუთწლედის პირველ სამი წლის განვლილ პერიოდში დაზოგეს 196.376 კილოვატსაათზე მეტი ელექტროენერგია, რაც მთლიანი ხარჯვის 4.1 პროცენტს შეადგენს. საწვავი კი დაზოგილია 240 ათასი კილოგრამი.

ელექტროენერგიისა და საწვავის მომჭირნეობით ხარჯვისათვის აქტიურად იბრძვის დეპოს სახალხო კონტროლის ჯგუფი. აქ ყოველ კვარტალში ამოწმებენ ელექტროენერგიისა და საწვავის ხარჯვის მდგომარეობას, მანქანებზე დადგმულია ელექტროენერგიის ხარჯვის აღმრიცხველები, რაც საშუალებას გვაძლევს ვიცოდეთ, რამდენი ეკონომია გაკეთდა ამა თუ იმ მატარებელზე.

ფართოდ არის დანერგილი ამიერკავკასიის რკინიგზის თბილისის სალოკომოტივო დეპოს მოწინავე მემანქანეების ბრიგადისა და ხარჩენკოს ინიციატივა, შემუშავებულია ელმავლის მართვის სარეჟიმო რუკა, რომელიც ყველა მემანქანეს დაეხმარება. ეს გვაძლევს იმის ორიენტირს, თუ როგორ გამოვიყენოთ მატარებლის ოპტიმალური მართვა და მეტი რაოდენობით დავზოგოთ ელექტროენერგია.

სახალხო კონტროლის ჯგუფის წევრები ელექტროენერგიის მომჭირნედ ხარჯვის ნამდვილი ოსტატები არიან. მემანქანე ი. გოგოხიამ ხუთწლედის ორნახევარ წელიწადში 70.037 კილოვატსაათი ელექტროენერგია დაზოგა, ვ. ჭარხალაშვილმა — 68.181 კილოვატსაათი, მ. მელიძემ — 74.810 კილოვატსაათი, ს. ბერიძემ — 55.592 კილოვატსაათი, ვ. სამხარაძემ — 57.821 კილოვატსაათი.

სახალხო კონტროლის ჯგუფს ამჟამად ეკიდება ელექტროენერგიისა და საწვავის ხარჯვის აღრიცხვიანობის. მუშაობის ასეთმა სტილმა იმის შესაძლებლობა მოგვცა, რომ მიმდინარე ხუთწლედის ორნახევარ წელიწადში დაგვიზოგა მილიონ ასხუთი ათასი კილოვატსაათი ელექტროენერგია და 231 000 კილოგრამი საწვავი.

ქუთაისის სალოკომოტივო დეპოს სახალხო კონტროლიორები მომავალშიც შეიკრიბიან უფრო ფართოდ გაშალონ საკონტროლო მუშაობა და ამით ხელი შეუწყონ კოლექტივს ნაკისრ ვალდებულებათა განხორციელებაში.

ო. ოსაძე,

ქუთაისის სალოკომოტივო დეპოს სახალხო კონტროლის ჯგუფის თავმჯდომარე.

მეცხოველეობის განვითარების რეზერვი

მოჩვენებითი კეთილდღეობის განწყობილებით...

როგორც ცნობილია, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის 1975 წლის XVIII პლენუმი მეცხოველეობის განვითარებას, მის პერსპექტივებს მიეძღვნა. აქ დიდი ყურადღება დაეთმო საკვების ბაზის განმტკიცებას, პირუტყვის სულადობის ზრდას, სანაშენე საქმის გაუმჯობესებას, ვეტერინარული სამსახურის მაღალ დონეზე დაყენებას, მექანიზაციას. ამ პლენუმის უდიდესი მნიშვნელობა სწორედ ის არის, რომ მან არა მარტო ღასახა მიზნები, არამედ გვიჩვენა მისი მიღწევის რეალური გზები.

პრობლემათა შორის, რომლებიც რესპუბლიკის მეცხოველეობა წინაშე დგას, ერთ-ერთი მთავარი ადგილი უჭირავს ვეტერინარულ სამსახურის სრულყოფას, მის რადიკალურ გაუმჯობესებას. პლენუმზე პირდაპირ ითქვა: ამოცანა ის არის, რომ ძირითადად მოვსპოთ პირუტყვის დაავადება და ამით გამოწვეული ზარალი.

მეათე ხუთწლედის პირველ ნახევარში მთელი რიგი რაიონების კოლმეურნეობებმა, საბჭოთა მეურნეობებმა და სხვა სასოფლო-სამეურნეო საწარმოებმა მიაღწიეს მეცხოველეობის პროდუქციის წარმოების მოცულობის ზრდისა და დაბრუნების სახელმწიფო გეგმა-დავალებების შესრულებას, ვეტერინარულ-სანიტარიული მდგომარეობის ერთგვარ გაუმჯობესებას, მაგრამ ჯერ კიდევ ბევრი მაჩვენებლით საგრძნობლად ჩამორჩება საერთოსაკავშირო დონეს.

საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს ვეტერინარული სამსახურის მუშაობის ეფექტიანობა ცალკეულ დაავადებათა სალიკვიდაციოდ ჯერ კიდევ ვერ გაუმჯობესდა. ვეტერინარულ-სანიტარიული მდგომარეობა, საკვეტერინარო სახელმწიფო კონტროლის ორგანიზაცია არ შეესაბამება მეცხოველეობის დარგისადმი წაყენებულ სადღეისო მოთხოვნებს.

ბევრგან ჯერ კიდევ შემუშავებული არა აქვთ კომპლექსური ღონისძიებანი. ამის გამო დაბალია შეკვეთა. 1974-77 წლებში რესპუბლიკაში 39,3 ათასი სული ჯიშიანი ძროხა შემოიყვანეს, მაგრამ იმის გამო, რომ არ იყო სათანადო მოელა-პატრონობა, ვეტერინარული სამსახური ვერ ართმევდა თავს მოვალეობას, ძვირად ღირებული ჯიშიანი პირუტყვიდან გაწყდა და იძულებით დაიკლა 4,9 ათასი სული. ამით შესაბამისმა მეურნეობებმა 1 მილიონ 387 ათასი მანეთი იზარალეს. ასევე, ამავე პერიოდში შემოყვანილი 3,4 ათასი ჯიშიანი ღორიდან მეურნეობებიდან გაქცეულ 1,6 ათასი სული, ე. ი. თითქმის ნახევარი.

ლანჩხუთის რაიონის ვეტერინარული სამსახურის მუშაკთა მიერ მომდინარე წლის 6 თვეში ნამკურნალევი 25,7 ათასი სული მსხვილფეხა რქიანი პირუტყვიდან გაწყდა 3,6 ათასი, 6 ათასი ღორიდან — 2,6 ათასი. პირუტყვის მკურნალობის ეფექტიანობა დაბალია ტყიბულის, მესტიის, ჯავის, ასპინძის, ჭარელის, ჩხოროწყუს, სოხუმის, გალის, ცაგერის, სიღნაღისა და სხვა რაიონებში.

მეტად დაბალია მოსახლეობის პირუტყვის ვეტერინარული მომსახურება. ზოგიერთი ვეტერინარი მოსახლეობის დაზღვეული პირუტყვის გაწყდომაზე შედგენილ აქტებში არ უჩვენებს ნაძღვილ მიზეზებს, ყალბი დიაგნოზებით ხელს უწყობს სადაზღვევო თანხების უკანონო გაცემას.

რესპუბლიკის საზოგადოებრივ მეურნეობებში 1976-77 წლებში დაიხოცა 196,7 ათასი სული ყველა სახის პირუტყვი, ანუ დაავადებული პირუტყვის 8,6 პროცენტი. „საქფრინველმრეწვის“ სისტემის ფაბრიკებში 1975 წლიდან დღემდე გაწყდა 17,7 მილიონი ფრთა ფრინველი, 1972-77 წლებში დაიხოცა მოსახლეობის კუთვნილი სადაზღვევო ასაკის 653,0 ათასი პირუტყვი, მათ შორის მსხვილფეხა რქიანი პირუტყვი — 324,7 ათასი. რესპუბლიკის საზოგადოებრივმა მეურნეობებმა მარტო შარშან პირუტყვისა და ფრინველის დახოცვის გამო იზარალეს 5,9 მილიონი მანეთი. აქედან მატერიალურ პასუხისმგებელ პირებზე ასანაზღაურებლად დაწერილია მხოლოდ 1,6 პროცენტი.

გარდაბნის რაიონის მარტყოფის მრეძველეობა-მებოსტნეობის საბჭოთა მეურნეობაში წლების მანძილზე პირუტყვი დაავადებული ბრუცელოზით. წლიურ ინვენტარ-მაისში გამოვლინდა ბრუცელოზით დაავადებული 167 სული პირუტყვი, მათ შორის 58 ძროხა. იმის ნაცვლად, რომ ავადმყოფი პირუტყვი დაუყოვნებლივ ჩაებარებინათ, მეურნეობის ხელმძღვანელობამ (დირექტორი — ე. ლილუაშვილი) ეს საქმე რამდენიმე თვეს გაჭიანურა, თუმცა საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს აგრარულ-სამრეწველო-საგაჭრო გაერთიანებამ დეპეშით ხუთჯერ დაავალა დაავადებული პირუტყვის დაუყოვნებლივ ჩაბარება. საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილემ თ. ჯაფარიძემ კი მოითხოვა ავადმყოფი პირუტყვის ხელმძღვანელად გამოკვლევა, რაც ეწინააღმდეგება „ვეტერინარიის კანონმდებლობის მოთხოვნებს.

ვეტერინარული სამსახური გამართულად უნდა მუშაობდეს

ვეტერინარული ინსტრუქციის უხეში დარღვევისათვის საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტრომ მკაცრად დასაჯა მარნეულის რაიონის სოფლის მეურნეობის სამმართველოს უფროსი ე. დარბაიძე, მთავარი ვეტექიმი ვ. გობეჩია, კასუმლოს მეურნეობის დირექტორი ს. ქარუმოვი, მაგრამ ამ გაკვეთილიდან მათ სათანადო დასკვნები ვერ გამოიტანეს და აგვისტოში ვ. გობეჩიამ, საკავშირო ვეტსანიტარიის ინსტიტუტის ამიერკავკასიის განყოფილების უფროსმა მეცნიერმუშაკმა ო. მამაცაშვილმა და სხვა სპეციალისტებმა შეადგინეს და სოფლის მეურნეობის სამინისტროში წარადგინეს აქტი, რომლითაც მოითხოვდნენ ზაზიანის საბჭოთა მეურნეობაში ბრუცელოზით დაავადებაზე საეჭვო და გასასუქებლად დაყენებული მაღალპროდუქტიული 100 სული ძროხის კასუმლოს საბჭოთა მეურნეობისათვის გადაცემას. სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილემ თ. ჯაფარიძემ ვეტერინარული კანონმდებლობის უხეში დარღვევის ამ ფაქტს დადებითი რეზოლუცია დაადო და იგი, როგორც გამონაკლისი, დასაშვებად მიიჩნია.

ზოგან ბრუცელოზით დაავადება მასობრივ ხასიათს იღებს და სახელმწიფოს დაავადებულ საქონელს აბარებენ. ასე იყო გურჯაანის, მარნეულის, წალკის, ღუმბრეთის, თეთრი წყაროს, აბაშის, ადიგენის და სხვა რაიონებში.

გადამდებ დაავადებათა გავრცელებას ხელს უწყობს ისიც, რომ არ სრულდება სეროლოგიური გამოკვლევებისა და პროფილაქტიკური ღონისძიებების გეგმები. თეთრი წყაროს რაიონის ვეტერინარულმა სამსახურმა შარშან ეპიზოტიის საწინააღმდეგო 57 ღონისძიებიდან მხოლოდ 8 განახორციელა, ხოლო მიმდინარე წლის 6 თვეში შესაბამისად 54-დან 7. ამ რაიონის, აგრეთვე თეთრი წყაროსა და მანგლისის საბჭოთა მეურნეობებმა დაგეგმილი 20,9 ათასი სულის ნაცვლად ბრუცელოზით სეროლოგიური გამოკვლევა ჩატარეს მხოლოდ 6.5 ათას სულს, ბოლნისის რაიონში, სადაც აღრიცხულია ბრუცელოზით დაავადებული 3 ცერა, 4,8 ათასი სულის ნაცვლად გამოკვლეულ აფარმოს 3,3 ათას სულზე. ტყიბულის ზონის ვეტერინარულ სამსახურს მიმდინარე წლის 6 თვეში ეპიზოტიის ღონისძიებათა გეგმა შესრულებული აქვს მხოლოდ 65 პროცენტით, აქ თითქმის მოლიანად ჩაშალეს მოსახლეობის პირუტყვისათვის თურქულის აცრის ღონისძიებები.

ვეტერინარულ-სანიტარიული და პროფილაქტიკური ღონისძიებების ჩატარების გეგმები არ შეესრულებიათ აგრეთვე მესტიის, სილნაღის, მაიაკოვსკის, ბორჯომის, ხელვაჩაურის, დუშეთის, სოხუმის, ონის, ბოლნისი. საგარეჯოს და სხვა რაიონების რიგ კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს.

ადიგენის რაიონის მებოსტნეობა-მრეძველეობის საბჭოთა მეურნეობის დირექტორმა ბ. პეტაშვილმა და მთავარმა ვეტექიმმა ს. თათოშვილმა უხეშად დაარღვიეს ვეტერინარული კანონმდებლობა და სექტემბრის პირველ ნახევარში სომხეთის გუკასიანის და ახორიანის რაიონების სოფლებიდან მთავარი ვეტექიმების უნებართოდ შემოიყვანეს 37 სული მსხვილფეხა რქიანი პირუტყვი.

საერთოდ ასეთი მდგომარეობა იმის შედეგიც არის, რომ ვეტერინარიის მთავარი სამმართველოს ხელმძღვანელობა პრინციპულ მომთხოვნელობას არ იჩენს, დანაშაულს ხშირად ურეაგირებოდ ტოვებს.

ზოგიერთი რაიონის ვეტერინარი მუშაობის შელამაზების მიზნით მიმართავს თვალის აბეჭედას და ზოგჯერ ზემდგომ ორგანოებში წარდგენილ ანგარიშებში არ უჩვენებს ინფექციურ დაავადებათა კერების და დაავადებული პირუტყვის ფაქტიური რაოდენობას. სოფლის მეურნეობის სამინისტროს ვეტერინარიის მთავარი სამმართველო (ყოფილი უფროსი — ო. ღლონტი, მოადგილე — ვ. ჩინჩალაძე) არ ამოწმებს რაიონებიდან წარდგენილ ანგარიშებს, არ აღენს თვალის ახვევის ფაქტებს.

გარდაბნის რაიონის ცხოველთა დაავადებებთან მებრძოლი სადგურის ყოფილმა უფროსმა ი. მაჭედოვმა ბრუცელოზით დაავადებული პირუტყვის საერთო რაოდენობა სოფლის მეურნეობის სამინისტროში წარდგენილ მომართვაში უჩვენა 567 სული, ხოლო მასზე დართულ ფორმა № 1-ში 331 სული, ანუ 236-ით ნაკლები. ამ რაიონში ბრუცელოზი მასობრივად გავრცელებულია 8 საბჭოთა მეურნეობაში, მაგრამ კერად გამოცხადებულია მხოლოდ 3.

შარშან „საქფრინველმრეწვის“ სისტემის გარდაბნის რაიონის გამარჯვების, ბოლნისის რაიონის თამარისის, თეთრი წყაროს რაიონის კოდისა და საგარეჯოს მეფრინველეობის ფაბრიკებში ჰირით გაწყდა 723,4 ათასი ფრთა ფრინველი, ამ რაიონების ვეტერინარულმა სამსახურმა კი ვეტერინარიის მთავარ სამმართველოს ვეტანგარიშებში უჩვენა მხოლოდ 175,5 ათასი ფრთა.

არასაკმარისია სახელმწიფო ვეტერინარული დაწესებულებებისა და მეურნეობათა ეკონომსახურებისათვის გათვალისწინებული შენობა-ნაგებობები და ტრანსპორტი, ბევრგან ვეტქსელში არ გაჩნიათ ნორმალური მუშაობისათვის საჭირო მაკივრები, კამერები და სხვა მოწყობილობანი. აკლიათ ვეტერინარი სპეციალისტები, დაბალია მათი კვალიფიკაციის დონე, მოუგვარებელია მეცხოველეობაში დასაქმებულ მუშაკთა სპეციალისტცმლით მომარაგება.

ნაკლოვანებები გამოვლინდა ხორცისა და რძის მრეწველობის სამინისტროს საწარმოებშიც. ზოგიერთ კომბინატში, სასაკლაოში, რძის მიმღებ საწარმოში არ იცავენ ვეტერინარულ-სანიტარიულ წესებს.

საქართველოს სახალხო კონტროლის კომიტეტმა განიხილა ვეტერინარული სამსახურის მუშაობის შემოწმების შედეგები და მომსახურებისადმი არასაკმარისი ხელმძღვანელობისა და ამ საქმეში არსებული დარღვევებისათვის დამნაშავე პირები სათანადოდ დასაჯა.

ვ. თავზარაშვილი.

საქართველოს სსრ სახალხო კონტროლის კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე.

მ ა თ ი ეგგალითი

ზეუმჩნეველი არაფერი რჩებათ...

...ქარხანა-მეურნეობის სახალხო კონტროლის ჯგუფის თავმჯდომარემ მაგიდაზე რამდენიმე საქაღალდე დაგვიდო. მათში აღრიცხულია, თუ სად რა ნაკლი შენიშნეს ხალხის მიერ არჩეულმა კონტროლიორებმა, ვის რა მითითება ან რჩევა მიეცა. აქვე არის იმათი პასუხი, ვისაც მხილებულ ნაკლოვანებებზე რეაგირება ეხებოდა. აი ერთ-ერთი მათგანი: „ნოღოსაშის უბანში ვარდის პლანტაციებში უხარისხოდ შესრულებულ სამუშაოთა გამო გაგვაერთიანეს, რაც სამართლიანია და სინამდვილეს შეეფერება. ამიამად პლანტაცია გადაბარებულია და შეტანილია სასუქი. შ. ციმბალა (უბნის მმართველი), 25 მარტი, 1978 წელი“.

ასე ბოლომდე მისდევს სახალხო კონტროლის ჯგუფი დაშვებული ხარვეზების დაძლევის საქმეს.

ჯგუფის ეფექტიან მუშაობაში აქტიურად მონაწილეობენ მექანიზატორები რ. ინჯგია, ავ. კაჭარავა, მესიმინდიები დ. კაჭარავა, მ. გაბელია, მუშა ინეზა გაბელია და სხვ.

ქარხანა-მეურნეობის სახალხო კონტროლის ჯგუფი უთუოდ სასარგებლო საქმეს აკეთებს. მეს სამუშაო გეგმებს, რომლებსაც პარტიული კომიტეტი (მდივანი — გ. გვიანავა) ამტკიცებს, გულდასმით ეცნობა ყველა წევრი. თითოეულმა იცის, თუ როდის მოეწყობა ექსკურსია შემოწმებები, რეიდები. ასეთი საჯაროობა ჯგუფის ორგანიზებული და ეფექტიანი მუშაობის საიმედო საწინდარია.

ბ. მილიუტინი,

„კომუნისტის“ საკ. კორ.

ციხანალის რაიონის ხირხის ღვინის ქარხანაში წელს დაამზადებენ 100 ათას დეკალიტრ ხამარკო ღვინოს „ქარდანახს“, 15 ათას დეკალიტრ „ტბადანს“, სამას ათას დეკალიტრ „ოვერიას“. ქარხნის ხახალხო კონტროლიორები თვალყურს ადევნებენ გამოშვებული პროდუქციის ხარისხს, იბრძვიან ხაგეგმო დავალებათა შესრულებისათვის.

სურათზე: ხირხის ღვინის ქარხნის ხახალხო კონტროლის ჯგუფის წევრები (მარცხნიდან მარჯვნივ) ლაბორანტი ჯულიეტა ალდგომელაშვილი, ქიმიკოსები ნელი ბაბალაშვილი, ნთელა ჩუთლაშვილი და წარმოების უფროსი ანზორ კვალიაშვილი ამოწმებენ პროდუქციის ხარისხს.

მ. ბეინერის ფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

პარტიული ხელმძღვანელობის ძალა

რ ო გ ო რ მოქმედებენ ჯგუფები?

საქართველოს ბათუმის საქალაქო კომიტეტის ბიურომ განიხილა ქალაქის სამეწველო საწარმოების პირველადი პარტიული ორგანიზაციების მიერ სახალხო კონტროლის ჯგუფებისა და საგუშაგოებისადმი ხელმძღვანელობის შემოწმების შედეგები.

ქალაქის სამრეწველო საწარმოების პირველადი პარტიული ორგანიზაციები სერიოზულ მუშაობას ეწევიან სახალხო კონტროლის ჯგუფებისა და საგუშაგოების საქმიანობის გასაუმჯობესებლად, მათი აქტიურობის ასამაღლებლად. ამის შედეგად სახალხო კონტროლიორებმა მნიშვნელოვნად გარდაქმნეს მუშაობა. წელს სახალხო კონტროლის მეთაურმა ჯგუფებმა გეგმების შესრულების, პროდუქციის ხარისხის ამაღლების, სოციალისტური საკუთრების დაცვის საკითხებზე 872 შემოწმება მოაწყეს, 352 საკითხი განიხილეს ჯგუფების სხდომებზე. ხოლო 153 მუშრომელთა კოლექტივების კრებებზე. განსაკუთრებით გამიზნულად და ეფექტიანად მუშაობენ გეუმსაშენი, ელექტრომექანიკური, ტრანსფორმატორების ქარხნების სახალხო კონტროლის ჯგუფები.

ამასთან ისიც თქვა, რომ ზოგიერთი პარტიული ორგანიზაცია ჯეროვნად ვერ ხელმძღვანელობს და ვერ იყენებს ჯგუფებისა და საგუშაგოების შესაძლებლობებს, ვერ რაზმავს მათ საწარმოთა მაჩვენებლების ხარისხობრივი გაუმჯობესებისა და წარმოების ეფექტიანობის ამაღლებისათვის. ზოგჯერ სახალხო კონტროლის ჯგუფებისა და საგუშაგოების მიერ ჩატარებული შემოწმებები ზერელე და ნაკლებ ეფექტიანია. ვერ იყენებენ დებულებით მინიჭებულ უფლებებს. ამ მხრივ იოსანიშვილი — საკონფიტერო ფაბრიკის, „წყალანალიზაციის“ ტრესტის, ღვინის ქარხნის, თეატრალური საზოგადოების საწარმოო უბნის, თევზსაქონი ფლოტის სამმართველოს, სახლთაშორისი კომბინატის, დამმარი საწარმოთა კომბინატის, თამბაქოს, საკონდიტრო, ავეჯის ფაბრიკების, ქიმიური, რძის, ქიმიურ-ფარმაცევტული. „ამპარის“ პოკომბინატის, ღვინის ქარხნების, „წყალანალიზაციის“ ტრესტის, საკონსერვო მრეწველობის კომბინატის, ყურძნეულთა საზოგადოების, ხორცკომბინატის სახალხო კონტროლის ჯგუფები.

საქალაქო კომიტეტის ბიურომ მიიღო ვრცელი დადგენილება, რომლის განხორციელება უზრუნველყოფს სახალხო კონტროლის ჯგუფების მუშაობის შემდგომ გაუმჯობესებას.

აქტივისტები ეცნობიან

კონტროლიორები ყვირილმანი დატაცების ფაქტებს ამხელენ

ამ დღეებში საქართველოს სახალხო კონტროლის კომიტეტში გაიმართა „საქთამბაქოს“ საწარმოო გაერთიანების საწარმოთა სახალხო კონტროლის ჯგუფების თავმჯდომარეთა და აქტივისტთა თათბირი, რომელიც სოციალისტური საკუთრების დაცვისა და წვრილმან დატაცებებთან ბრძოლის შესახებ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის დადგენილების შესრულების საკითხებს მიეძღვნა.

თათბირი გახსნა საქართველოს სახალხო კონტროლის კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილემ ვ. თავზარაშვილმა. მოხსენება თამბაქოს მრეწველობის საწარმოთა სახალხო კონტროლის ჯგუფების ამოცანების შესახებ გააკეთა საქართველოს სახალხო კონტროლის კომიტეტის მსუბუქი და კვების მრეწველობის განყოფილების გამგემ ი. სულაბერიძემ. სოციალისტური კანონიერებისა და კანონმდებლობის განმტკიცების საქმეში სახალხო კონტროლიორებმა ეფექტიანად ასრულეს ეს ამოცანა. ამ ბრძოლაში ბევრ ადგილას ეფექტიანად ებრძოლნენ ფარული ანაზღაურებისა, ფასიანი ნივთების ფასდაკლებისა, ფასიანი ნივთების ფასდაკლებისა, ფასიანი ნივთების ფასდაკლ

შემოქმედებითი შეხვედრები

რაც ვნახეთ, რაც ვიგრძენით...

თქვენ ბედნიერი ხალხი ხართ!

სერგი გოგაკოვი

ქ. მოსკოვი.

საბჭოთა ლიტერატურის დღეებმა მონაწილეთა ერთი ჯგუფი გორსა და ცხინვალს ვეწვიეთ. გორში ადრეც ვარ ნამყოფი. იქ ბევრი რამ შეცვლილა, უფრო დამშვენებულა ქართლის გული. დიდი მოწიწებით დავთვალიერეთ საბრძოლო დიდების მუზეუმი, როშელსაც, ეტყობა, საოცრად უყვარან და ესათუთებიან გორელები.

დიდი შთაბეჭდილება მოახდინა უძველესი ხუროთმოძღვრული ძეგლის ნახვამ სოფელ ატენში, როშლის თაღებქვეშ ჯორის ჯოგონათა გუნდმა დიდებულად შეასრულა ქართული საგალობლები. ეს ყველაფერი დაუვიწყარია. დაუვიწყარია, ავრეთვე, შეხვედრები სამხრეთ ოსეთის მშრომელებთან, უბრალო ადამიანებთან, ჩვენი შემოქმედების დამფასებლებთან.

ეს იყო მეგობრობის, ძმობის მარადსახსოვარი დღეები. უთუოდ რომ შეუწყობს ხელს ჩვენს შემდგომ შემოქმედებით მუშაობას.

მადლობა მთელს საქართველოს ჩვენი მასპინძლობისათვის. აქ საოცრად არის ერთურთშერწყმული და შენივთებული დიდი წარსული და მჩქეფარე დღეკანდელობა. თქვენ ბედნიერი ხალხი ხართ!

ნახვამდის!

ივან დრაჩი

ქ. კიევი.

საქართველოს ბევრი კუთხე მომცველია. ლიტერატურის დღეებში ქუთაისსა და მაიაკოვსკს ვესტუმრე. მე ვიწამე, რომ სწორედ ქუთაისში უნდა შეიქმნა ლესია უკრაინკას თავისა ყველაზე ძვირფასი ნაწარმოებები. ვიგრძენი, თუ როგორ უფრთხილდებიან აქაურები უკრაინკას სახელს. სხვათა შორის, უნდა გითხრათ, რომ მე გადაწყვეტილი მაქვს დაწერო სცენარი „ლესია საქართველოში“, ის უნდა იყოს უკრაინელი პოეტ ქალის დაუმთავრებელი სიმღერის გაგრძელება საქართველოზე, უკრაინელი და ქართველი ხალხების მეგობრობაზე.

ფუძემყარი მეგობრობა

სილვა ქაპუტიკიანი

ქ. ერევანი.

საქართველო მახლობელია ჩემთვის. ახლაც სიამოვნებით ჩამოვედი, რომ მონაწილეობა მიმეღო საბჭოთა ლიტერატურის დღეებში. ვიყავით თელავში „მოთაობაზე“. დავთვალიერეთ იყალთოს სახალხო აკადემია და ამ სძეგელთა ხილვისას ალტაცებაში მოგვიყვანა ახალგაზრდობის ზეიმმა, საქართველოს მომავლის ცქვამ და სამღერამ.

ჩემი ახლანდელი ჩამოსვლა თბილისში იმითაც იყო სამახაოვრო, რომ აქ შევხვდი ძველსა და ახალ მეგობრებს. მწერლებსა და პოეტებს საბჭოთის ყველა კუთხიდან. ეს შეხვედრები კი საერთო საქმის წინსვლას, ჩვენი ლიტერატურის შემდგომ აღმავლობას სჯირდება.

ჩვენი ხალხი, სომეხი და ქართველი ხალხი ბედმა ლიტერატურითაც დაამეგობრა. ეს მეგობრობა ფუძემყარია და სასიამოვნოა, რომ დღესაც გრძელდება და ვითარდება.

ეროვნული ახლოს ერთმანეთთან

გუნარ პრიედე

ლატვიის მწერალთა კავშირის პირველი მდივანი

ყოველი დღე ხომ კარგი და სასიამოვნო იყო, სამხრეთ საქართველოში, ეარძიაში გატარებულ დღეს კი ვერცერთს ვერ შეედარებ. აი, თურმე რა მეუღლია მშრომელი კაცის გენიას. გაეფრთხილდით ამ სიძველეებს, მეგობრებო! ის მარტო თქვენ არ გეკუთვნით, საერთოა, ყველას სიამაყეა.

ლატვიაში იცნობენ თქვენს ხელოვნებასა და ლიტერატურას. მოუთმენლად ველოდებთ „ვეფხისტყაოსნის“ თარგმანის დასრულებას, რომლის ერთი ნაწილი უკვე მიაწოდა მკითხველს მთარგმნელმა არვიდ სკალბემ. მან დიდი და შრომატევადი საქმე იკისრა, მაგრამ გამოქვეყნებული ნაწყვეტები რუსთაველის გენიალური პოემისა გვაფიქრებინებს, რომ ლატვიელი მკითხველი სრულყოფილ თარგმანს მიიღებს. მე დრამატურგი ვარ და გეტყვით, რომ ლატვიაში პირდაპირ „ნადირობაა გამართული“ ქართულ ნაწარმოებებზე. დაიდგა ალ. ჩხაიძის „თავისუფალი თემა“ და „ხიდი“, ნ. დუმბაძის „მე ვხედავ მზეს“, „თეთრი ბაირალები“ და სხვა.

ეს დღეები კვლავაც შეუწყობს ხელს ჩვენს ურთიერთდაახლოებას.

გელოდებით თურქმენეთში

ტაშლი ყურბანოვი

თურქმენეთის სსრ მწერალთა კავშირის გამგეობის თავმჯდომარე

ამ ცოტა ხნის წინათ ვიყავი საქართველოში ილია ჭავჭავაძის იუბილეზე. მაშინ ვნახე ყველაფერი, გურჯიანი, თელავი,

ახლა კი დასავლეთ საქართველოს ნახვა მომიწია. ვესტუმრეთ ფოთსა და ანაზას. ფოთი ჩემი ძველი მასპინძელია. ათი წლის წინათ მიგლინებით ჩავედი იქ. მაშინ ფოთის ნაკადგურიდან პირველად გავიდა ზღვაში ჩვენი დიდი პოეტის მანტი ყულეიეს სახელობის თბომავალი. აეე რომ საქართველოს, ცოტათ თუ ბევრად, მაინც ვიცნობ. ახლა უფრო გავიცანი. ფოთში დავთვალიერეთ ციტრუსების მეურნეობა, დავრგეთ მეგობრობის ხე. ძალიან მინდა, რომ ამ ხემ გაიზაროს, რადგან ისიც არის ჩვენი დიდი მეგობრობის ერთი მოწმე.

სასიამოვნო იყო ანაზელთა გაცნობა. ჩვენ ვნახეთ, თუ რა სასიკეთო ეკონომიკური გარდაქმნები მოხდა უკანასკნელ წლებში ანაზაში. ვნახეთ მიწის მუშა, მშრომელი ხალხი, რომელმაც იცის, რას აკეთებს. გავიცანეთ მათი წინამძღოლი გურამ მგელაძე, რომელიც, ჩემის აზრით, დღეანდელი პარტიული მუშაკის განსახიერებაა.

ამდენი შთაბეჭდილებისა და შეხვედრების შემდეგ გადაწყვეტილი მაქვს ჩემი წვლილი მივუზიღო თქვენს მშვენიერ რესპუბლიკას — შევქმნა ვრცელი ლექსი დღეანდელ საქართველოზე, რომლის უძველეს კულტურას და ხელოვნებას კარგად იცნობენ თურქმენეთში. ჩვენი ხალხი ინტერესით ეცნობა რუსთაველს, ი. ჭავჭავაძის, ვაჟა-ფშაველას, ი. აბაშიძის, გ. აბაშიძის, ი. ნინოშვილისა და სხვათა ნაწარმოებებს.

ჩვენ მალე ალბათ თურქმენეთში გავმართავთ საბჭოთა ლიტერატურის დღეებს. ასე რომ, თქვენგან გამოჩდილებაც მოვიღეთ.

ველოდებით თურქმენეთის მიწაზე შესანიშნავ ქართველ მწერლებს.

დამსახურებული



აღიარება

ჩვენი საზოგადოებრიობა მადლიერების გრძნობით აღნიშნავს გამოჩენილი საბჭოთა მათემატიკური სკოლის ბრწყინვალე წარმომადგენლის, დიდი მეცნიერისა და განათლების შესანიშნავი ორგანიზატორის, ახალგაზრდობის გულისხმიერი აღმზრდელის, მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსის ვიქტორ დიმიტრის ძე კუპრაძის დაბადების 75-ე და სამეცნიერო-პედაგოგიური, საზელმწიფო და საზოგადოებრივი მოღვაწეობის 50-ე წლისთავს.

აკად. ვიქტორ კუპრაძე გამოჩენილი მათემატიკოსი და მექანიკოსია. მისი საზელი, როგორც მეცნიერი მკვლევარისა, კარგად არის ცნობილი საბჭოთა კავშირში და მის ფარგლებს გარეთ.

ვიქტორ კუპრაძე უკუთვნის ჩვენი რესპუბლიკის იმ გამოჩენილ ადამიანთა სახელოვან პლეადას, რომლებმაც ფართო გზაზე გაიკვალეს ქართული მეცნიერული კვლევა-ძიება და ამით ფასდაუდებელი სამსახური გაუწიეს მშობლიურ ხალხს.

მისი ცხოვრება და მოღვაწეობა შთამბეჭდავი მაგალითია იმისა, თუ როგორ კეთილნაყოფიერად და თავდადებულად უნდა ემსახურო მეცნიერებას, ხალხს, სამშობლოს.

ვიქტორ კუპრაძე დაიბადა 1903 წლის 2 ნოემბერს, რკინიგზელის ოჯახში. ქუთაისის რეალური სასწავლებლის დამთავრების შემდეგ, 1922 წელს იგი ადრძელებს სწავლას ახლად დაარსებულ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტზე, რომლის დამთავრებისთანავე (1927 წ.) ქართული მათემატიკური სკოლის ფუძემდებლების ანდრია რაზმაძის და ნიკო მუსხელიშვილის წარდგინებით დატოვებულ იქნა უნივერსიტეტში სამუშაოდ. 1927-30 წლებში მუშაობდა უნივერსიტეტში და პოლიტექნიკურ ინსტიტუტში ასისტენტად.

1930 წელს ვ. კუპრაძე საკავშირო მეცნიერებათა აკადემიის ასპირანტურაშია, ლენინგრადში. მას აქ ხელმძღვანელობენ ისეთი სახელგანთქმული აკადემიკოსები, როგორიც იყვნენ ალექსი ნიკოლოზის ძე კრილოვი და ვლადიმერ ივანეს ძე სმირნოვი.

1932 წელს ვიქტორ კუპრაძე შედის სკკპ რიგებში.

1933-1935 წლებში ვიქტორ კუპრაძე არის სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ვ. სტეკლოვის სახელობის მათემატიკის ინსტიტუტის სწავლული მდივანი და უფროსი მეცნიერი თანამშრომელი; პარალელურად კითხულობს ლექციებს მოსკოვისა და ლენინგრადის სხვადასხვა უმაღლეს სასწავლებლებში.

1935 წელს მოსკოვში სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის მათემატიკის განყოფილებაში ვიქტორ კუპრაძე იცავს დისერტაციას თემაზე: „ელექტრომაგნიტური ტალღის დიფრაქციის ზოგიერთი ძირითადი ამოცანა“ და ენიჭება ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხი.

1936 წელს აკად. ვიქტორ კუპრაძე ბრუნდება სამშობლოში (თბილისში) და ინიშნება სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის საქართველოს ფილიალის ახლად დაარსებული მათემატიკის ინსტიტუტის დირექტორად და პარალელურად ხელმძღვანელობს კათედრებს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტსა და პოლიტექნიკურ ინსტიტუტში.

სამამულო ომის მრისხანე დღეებში ვ. კუპრაძე საბჭოთა არმიის რიგებში იყო და უშუალოდ მონაწილეობდა საბრძოლო მოქმედებაში ფაშისტ დამპყრობთა წინააღმდეგ, ყირიმის ნახევარკუნძულის ცნობილ ბრძოლებში.

1941-42 წწ. არის ერთ-ერთი საფრონტო გაზეთის რედაქტორის მოადგილე, რომელიც გერმანულ ენაზე გამოდიოდა.

1943 წელს, დემობილიზაციის შემდეგ, ვ. კუპრაძე ინიშნება თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროორექტორად სამეცნიერო ნაწილში.

1944-1953 წლებში ვ. კუპრაძე საქართველოს განათლების მინისტრია.

ვ. კუპრაძის დიდმა ავტორიტეტმა მასწავლებელთა და მოსწავლე ახალგაზრდობას შორის, ფართო ერუდიციამ, ორგანიზაციულმა და შემოქმედებითმა ნიჭმა, მაღალმა მეცნიერულმა დონემ განაპირობა ამ პერიოდში რესპუბლიკის საუნივერსიტეტო სკოლებში სწავლების პროცესის შემდგომი დახვეწა და სრულყოფა.

1954-1958 წლებში ვ. კუპრაძე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორია და მისთვის ჩვეული ენერგიით ხელმძღვანელობს საქართველოს სსრ მეცნიერების და კულტურის ამ უდიდეს კერას.

1947 წელს ვ. კუპრაძე მონაწილეობს აზიის ხალხთა კონგრესში დელში, 1955 წელს კი — გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის X სესიაში, როგორც საბჭოთა კავშირის დელეგატი.

ვ. კუპრაძე 1946 წლიდან საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსია, ხოლო 1948 წლიდან ამავე აკადემიის პრეზიდიუმის წევრი.

1943 წელს ვ. კუპრაძეს მიენიჭა საქართველოს სსრ მეცნიერებისა და ტექნიკის დამსახურებული მოღვაწის საპატიო წოდება.

1962 წელს საქართველოს სსრ მათემატიკოსთა საზოგადოების დამფუძნებელი კრება აკად. ვიქტორ კუპრაძეს ირჩევს მის პირველ პრეზიდენტად.

1963 წელს აკად. ვიქტორ კუპრაძეს ირჩევენ საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ახლად ჩამოყალიბებული მათემატიკისა და ფიზიკის განყოფილების აკადემიკოს-მდივნად, სადაც დღემდე მოღვაწეობს; ამასთან განაგებს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დიფერენციალურ და ინტეგრალურ განტოლებათა კათედრას.

აკად. ვიქტორ კუპრაძე აქტიურად მონაწილეობს ჩვენი ქვეყნის სახელმწიფოებრივ და საზოგადოებრივ საქმიანობაში. 1946-1963 წლებში არჩეული იყო საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრად; 1949-1952 წლებში სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, საქართველოს სსრ სხვადასხვა მოწვევის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი. ხოლო 1954-1962 წლებში იგი საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარეა.

1971 წელს ვიქტორ კუპრაძეს მიენიჭა საქართველოს სსრ სახელმწიფო პრემია მეცნიერებისა და ტექნიკის დარგში.

აკად. ვიქტორ კუპრაძე იყო საქართველოს კომუნისტების ცირსეული დელეგატი სკკპ XXIV ისტორიულ ყრილობაზე. ამჟამად ვიქტორ კუპრაძე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი და სსრ კავშირ-გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მეგობრობის საზოგადოების საქართველოს განყოფილების თავმჯდომარეა.

ვიქტორ კუპრაძის ნაყოფიერი სამეცნიერო პედაგოგიური და საზოგადოებრივი მუშაობა არაერთგზის აღნიშნულა მთავრობის სანატიო ჯილდოებით. იგი დაჯილდოებულია ორი ლენინის ორდენით, ოქტომბრის რევოლუციის ორდენით, ორი შრომის წითელი დროშის ორდენით, საპატიო ნიშნის ორდენით, დიდი სამამულო ომის მედლებით.

დიდია აკადემიკოს ვიქტორ კუპრაძის დასახურება სამამულო მათემატიკისა და მექანიკის განვითარების საქმეში. ამასთან დაკავშირებით უნდა აღინიშნოს, რომ ქართველ მეცნიერთა წვლილი მექანიკაში მოიხსენიება ისეთი დიდი მიღწევების გვერდით, როგორიც არის უკრაინელ მეცნიერთა გამოკვლევები ლითონთა შედუღების საკითხებზე, სომეხ მეცნიერთა მიღწევები ასტროფიზიკაში და სხვა.

ამ მიღწევებს საფუძველი ჩაეყარა ნიკო მუსხელიშვილის საქვეყნოდ ცნობილი გამოკვლევებით დრეკადობის ბრტყელ და მასთან დაკავშირებით შექნილ ერთგანზომილებიან სინგულარულ ინტეგრალურ განტოლებათა თეორიაში, აკად. ილია ვეკუას გამოკვლევებით გარსთა თეორიასა და განზოგადებულ ანალიზურ ფუნქციათა თეორიაში, აკად. ვიქტორ კუპრაძის გამოკვლევებით მათემატიკური დრეკადობის თეორიის სიღრეცულ ამოცანებში და მრავალგანზომილებიან სინგულარულ ინტეგრალურ განტოლებათა თეორიაში.

3. კუპრაძის გამოკვლევები ძირითადად შეეხება მათემატიკური ფიზიკის, მათემატიკური დრეკადობის თეორიის, დიფერენციალურ და ინტეგრალურ განტოლებათა თეორიის აქტუალურ პრობლემებს.

ამ გამოკვლევებმა და აღმოჩენებმა საყოველთაო აღიარება დაიმსახურა როგორც საბჭოთა კავშირში, ისე მის ფარგლებს გარეთაც.

მისი გამოკვლევების ერთ-ერთი ნაწილი ეხება რხევის საკითხებს. აქ ცენტრალური ადგილი უჭირავს ზომერფელდის ე. წ. „გამოსხივების პრინციპს“, რომლის მათემატიკური დასაბუთება ვ. კუპრაძეს ეკუთვნის და რომლის გამოყენებით მან უდიდესი წვლილი შეიტანა რხევის მათემატიკურ თეორიაში.

მნიშვნელოვანი გამოკვლევები ეკუთვნის ვ. კუპრაძეს დრეკადი ტალღის გავრცელების და დიფრაქციის თეორიაში, დრეკადობის თეორიის სტატიკისა და სტაციონარული რხევის სასაზღვრო ამოცანების თეორიაში. მათ დიდ მეცნიერულ აღიარებაზე მეტყველებს ის ფაქტი, რომ ვ. კუპრაძის მონოგრაფია „დიფრაქციის მათემატიკური თეორიის ძირითადი ამოცანები“ 1935 წელს გამოქვეყნდა ლენინგრადში რუსულ ენაზე; 1952 წელს იგი ინგლისურ ენაზე გამოსცა კალიფორნიის უნივერსიტეტის მათემატიკის ინსტიტუტმა, ხოლო მეორე მონოგრაფია — „ბრტყელ თეორიის სასაზღვრო ამოცანები და ინტეგრალური განტოლებანი“ გამოვიდა მოსკოვში 1950 წელს რუსულ ენაზე, ხოლო 1956 წელს — ბ[illegible]

ვ. [illegible] მათემატიკურ დრეკადობის თეორიაში და მრავალგანზომილებიანი სინგულარული ინტეგრალური განტოლებანი [illegible] მიღებული მნიშვნელოვანი შედეგები სამგანზომილებიანი დრეკადობის თეორიაში, ამ გამოკვლევათა შედეგები თავმოყრილია მონოგრაფიაში „მათემატიკური დრეკადობის თეორიის სამგანზომილებიანი ამოცანები“, რომელიც 1968 წელს გამოიცა თბილისში და მიეძღვნა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დაარსების 50-ე წლისთავს. ნაშრომმა დაიმსახურა 1971 წლის საქართველოს სსრ სახელმწიფო პრემია მეცნიერებისა და ტექნიკის დარგში. ამ მონოგრაფიის მეორე გამოცემა, მნიშვნელოვნად შეესებული ორიგინალური შედეგებით თერმოდრეკადობისა და მომენტური თეორიის სასაზღვრო ამოცანათა თეორიიდან, გამოვიდა 1976 წელს მოსკოვში (გამომცემლობა „ნაუკა“).

მონოგრაფიის მნიშვნელოვანი ნაწილი ეძღვნება სასაზღვრო ამოცანების ამოხსნის არსებობის და ერთადერთობის თეორიებს, განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა ისეთი მეთოდების დამუშავებას, რომლებიც თანამედროვე ელექტრონულ გამოთვლელ მანქანებზე რიცხვითი ამოხსნების რეალიზაციის საშუალებას იძლევა. აღნიშნული მონოგრაფია თარგმნილია ინგლისურ ენაზე და 1978 წლის ბოლოსაკენ გამოიცემა ჰოლანდიაში.

ამჟამად დრეკადობის თეორიის სპეციალისტთა კვლევის ყურადღების ცენტრშია მექანიკის ისეთი პრობლემები, როგორიც არის თერმოდრეკადობის ბმული თეორია, დრეკადობის მომენტური თეორია, დინამიკის ამოცანები და სხვ; სწორედ ეს საკითხებია ამჟამად ვ. კუპრაძისა და მისი მოწაფეების კვლევის საგანი.

მეტად მნიშვნელოვანია ვიქტორ კუპრაძის დამსახურება, როგორც შესანიშნავი პედაგოგისა და გულისხმიერი აღმზრდელისა. მას ახალგაზრდა მათემატიკური კადრების აღზრდა მეცნიერულ-კვლევითი მუშაობის განუყოფელ ნაწილად მიაჩნია.

იუბილარი რთული მათემატიკური საკითხების გადმოცემის შესანიშნავი ოსტატი და ხელოვანია. მის ლექციებში იგრძნობა მათემატიკის მეცნიერების უსაზღვრო სიყვარული; ის ერთბამად იპყრობს მსმენელის ყურადღებას და აღტაცებაში მოჰყავს იგი.

ვ. კუპრაძის ენერგიული ხელმძღვანელობით საქართველოში აღიზარდა მათემატიკოსთა მთელი პლეადა, ამჟამად ისინი თვითონ ეწევიან ნაყოფიერ სამეცნიერო-პედაგოგიურ მოღვაწეობას, ქმნიან მნიშვნელოვან მეცნიერულ პროდუქციას.

აკად. ვ. კუპრაძეს მოწაფეები და მიმდევრები ჰყავს არა მარტო საქართველოში, არამედ მთელ საბჭოთა კავშირში და ჩვენი ქვეყნის ფარგლებს გარეთაც.

აკად. ვ. კუპრაძე დღესაც მისთვის ჩვეული ენერგიითა და გატაცებით განაგრძობს შემოქმედებითს მუშაობას და ეჭვი არ არის, რომ კვლავაც გაამდიდრებს საბჭოთა მათემატიკის მეცნიერებას ახალ-ახალი მნიშვნელოვანი შედეგებით.

ე. ხარაძე,
საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი, აკადემიკოსი;

ნ. ვეკუა,
საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის თბილისის ა. რაზმაძის სახელობის მათემატიკის ინსტიტუტის დირექტორი, აკადემიკოსი.

ვერე ვთქვათ

ჩვენ სიმამაცეს გვისურვებს ყველა,
და კიდევ იმედს,
და კიდევ რწმენას;
მაგრამ სიცოცხლე ისე ტკბილია,
წლები გვისურვონ, თუ სურვილია.

რომ გავიტანოთ ბოლომდე ხვრელი
და სიხარულით გავლიოთ დღენი,
მივხედოთ წარსულ მარცხს და შეცდომას,
რომელიც იმ დროს ხალხს არ ეხმოდა...

მაშინ ბავშვები ვიყავით ყველა,
და გაბედულნიც ვიყავით მაშინ,
როცა ჩვენს მამულს დასჭირდა შველა
და რკინის ყღერა გაგვიჩნდა ხმაში...

ახლა ჩვენ გვმართებს ერთად ვიაროთ
ვით ცხოვრებისგან დათქმული წესად;
ძველი გზით სევდაც გავიზიაროთ
და წლები მივცეთ გაუვალ გზებსაც....

გადავუხადოთ სიყვარულს ხარკი,
მაგრამ... ვაითუ, ვეღარ შევძელით?
დე. ნუ ვიქნებით ზედმეტი ბარგი,
ჩვენი შვილები იყვნენ დღეგრძელნი!

გაგვისწორონ კიდეც,
ოღონდ თავმდაბლად,
(მშობლის წინ მართებს შვილს მორჩილება)
მერე ვთქვათ: შრომა ჩვენი გათავდა,
დროა, იზრუნონ ჩვენზე შვილებმა!..

თარგმანი ო. შალამბერიძისა.

სურათებზე: (მარცხნიდან): საქართველოში საბჭოთა ლიტერატურის დღეების მონაწილენი — სოციალისტური შრომის გმირი, საქართველოს მწერალთა კავშირის პირველი მდივანი გ. აბაშიძე და ჩუქჩი პროზაიკოსი ი. რიტხეუ; საუბრობენ ლენინური და სახელმწიფო პრემიების ლაურეატი ყალმუხი მწერალი დ. კუგულტინოვი და ბელორუსიის სახალხო პოეტი პ. პანჩენკო; საქართველოს სამხატვრო აკადემიის რექტორი გ. თოთიბაძე (მარჯვნიდან მესამე) აცნობს სტუმრებს აკადემიის სტუდენტთა ნამუშევრებს.

ვლ. ბინხუშრაბის ფოტო.

კლუბი „უკრაინა“ ფრთას ფლის

მეგობრობის ღრმა ფესვები აკავშირებს ქართველ ხალხს მრავალ ოჯმენ ხალხთან. განსაკუთრებით მტკიცე და მრავალმხრივია მეგობრობა ქართველებისა უკრაინელებთან.

ამ ორი ხალხის მეგობრული ურთიერთობა ათასამდე წელს ითვლის. ჯერ კიდევ X-XI საუკუნეებში ქართველებს მონაწილეობა მიუღიათ კიევ-პეჩორის ლავრის მოხატვაში, XII საუკუნეში საქართველოს სამეფოსა და კიევის სამთავროს შორის უკვე მიმოსვლა ყოფილა. XVII საუკუნეში ქართველები და უკრაინელები მხარდამხარ იბრძვიან თურქი დამპყრობლების წინააღმდეგ. ამავე საუკუნიდან იწყება ქართულად უკრაინელ ავტორთა თარგმნაც...

1860 წელს აკაკი წერეთელთან საუბარში ტარას შევჩენკოს უთქვამს — ბევრი რამ აქვს საერთო ამ ხალხს ჩვენს ხალხთანო.

ქართველ და უკრაინელ ხალხთა შორის ნამდვილი მეგობრობა საბჭოთა დიდ ძმურ ოჯახში განმტკიცდა და განვითარდა.

უნდა აღინიშნოს, რომ ამ ბოლო პერიოდში განსაკუთრებული ყურადღება ექცევა ქართველი და უკრაინელი ხალხების მეგობრობის მეცნიერულ, დასაბუთებულ შესწავლასა თუ გაშუქებას, დაგროვდა დიდძალი ფაქტობრივი მასალა ორი ხალხის ისტორიიდან. ითარგმნა მრავალი ნაწარმოები, ორივე ერმა ფართოდ გაიცნო მოძმეების კულტურა, ხელოვნება, ისტორია. ამიტომაც დამთავრდა ის პერიოდი, როდესაც შესაძლებელი იყო მხოლოდ თარგმანებით, ერთმანეთის პიესების დადგმით, საკონცერტო ბრიგადების გაცვლით და სხვა ამგვარი ღონისძიებებით ამოწურულიყო ხალხთა ურთიერთობის გამომსახველი ღონისძიებები. დადგა დრო, და არა მარტო დროული, არამედ საჭირო და გადაუდებელი გახდა ამ ფაქტობრივი მასალის საფუძველზე ხალხთა მეგობრობის მეცნიერულ საფუძველზე გაანალიზება თუ წარმოჩინება. შეიქმნა წიგნები, რომლებშიც ეს ურთიერთობა მეცნიერულად არის შესწავლილი.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი ქართველი და უკრაინელი ხალხების მეგობრობის, უკრაინელი კულტურის კვლევისა და პროპაგანდის ერთ-ერთი მთავარი ცენტრია საქართველოში. აქ იწერება გამოკვლევები, სახელმძღვანელოები უკრაინული ლიტერატურისა და ხელოვნების, ქართულ-უკრაინული კულტურული ურთიერთობის საკითხებზე, იკითხება უკრაინული ლიტერატურის ისტორიის კურსი, ისწავლება უკრაინული ენა.

უკვე რამდენიმე წელია თბილისისა და კიევის უნივერსიტეტები ერთმანეთს უცვლიან სტუდენტებსა და ასპირანტებს, რომლებიც საგანგებოდ სწავლობენ მოძმე ერის ენასა და ლიტერატურას, პირველი ასეთი ცვლა (რ. ხვედელიძე, ნ. ვერძაძე, რ. ჩილაჩავა, ა. ასანიძე, ჯ. ასათიანი, ლ. გრიცკო, ს. ყოლობი, გრ. ხალიმონენკო) დღეს თვითონ ზრდის მომავალ თაობას და წარმატებით მოღვაწეობს მხატვრული თარგმანის სფეროში.

1970 წელს თბილისის უნივერსიტეტთან დაარსდა კლუბი „უკრაინა“, რომელიც მოწოდებულია ხელი შეუწყოს ქართველი და უკრაინელი ხალხების მეგობრობის შემდგომ განმტკიცებას, უკრაინის უნივერსიტეტებთან ურთიერთობის განვითარებას, უკრაინელი ხალხის კულტურის შესწავლასა და პოპულარიზაციას. მრავალი საინტერესო ღონისძიება მოაწყო კლუბმა. მათ შორის უნდა აღინიშნოს ლიტერატურული საღამოები, რომლებიც მიეძღვნა მაქსიმ რილსკის, ლესია უკრაინკას, მიკოლა ბაჟანის, პაველ ტიჩინის და სხვათა შემოქმედების. პირველად საქართველოში კლუბმა განახორციელა პოეტური ტექსტის სინქრონული გამოცემა. უნივერსიტეტის გამომცემლობამ დაბეჭდა ლესია უკრაინკას, გრიგოლ სკოვოროდას, მიკოლა ბაჟანის ნაწარმოებების ქართული თარგმანების კრებული (პარალელურად უკრაინულ-ქართული ტექსტები).

თბილისის უნივერსიტეტში დიდი ხანი არ არის, რაც დაარსდა სსრ კავშირის ხალხთა ლიტერატურისა და მხატვრული თარგმანის კათედრა, რომელმაც იტვირთა ლიტერატურული თანამეგობრობის სწავლების კვლევისა და პროპაგანდის ფუნქცია. მოძმე რესპუბლიკებთან სტუდენტთა გაცვლის, სსრ კავშირის ხალხთა ლიტერატურაში, ლიტერატურულ ურთიერთობასა და მხატვრულ თარგმაწში ახალი კადრების მომზადების ფუნქცია.

საბჭოთა ლიტერატურის დღეები საქართველოში, გამოჩენილი საბჭოთა მწერლების ჩამოსვლა ჩვენს რესპუბლიკაში, შეხვედრები ჩვენი ქვეყნის მშრომელებთან, ჩვენს ახალგაზრდობასთან ახალ ძალასა და ენერგიას მატებს ქართველ ხალხს და, თავის მხრივ, ჩვენი სტუმრების ახალ პოეტურ აღმაფრენას იწვევს, ამასთანავე იგი ლიტერატურისათვის ჩვენი პარტიისა და მთავრობის ზრუნვისა და ყურადღების ნათელ გამოვლენაა.

ოთარ ბაქანიძე.

პოეზიამ დაგვამოყვრა!

რუსთაველის სახელობის სახელმწიფო აკადემიურ თეატრში გაიმართა ლიტერატურული სალამო „დიდი რუსი მწერლები და საქართველო". სალამო შესავალი სიტყვით გახსნა საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობის თავმჯდომარემ, სოციალისტური შრომის გმირმა გრიგოლ აბაშიძემ. მკითხველებს ვთავაზობთ ამ გამოსვლის შემოკლებულ სტენოგრამას:

— ჩვენი დღეგანდელი საღამოს თემაზე შეიძლება დაიწეროს პოემა, შეიძლება დაიწეროს მუსიკა, ფაქიზი და ამაღლებული.

მსოფლიო ლიტერატურის ისტორიას არ ახსოვს ორი ხალხის ისეთი უანგარო მეგობრობის სხვა მაგალითი, რომელიც ესოდენ ნაყოფიერი და მთავარებული იყოს პოეზიით.

რუსეთი საქართველოსთან პოეზიამ დაამოყვრა. რუსულმა მუზამ გადაკვეცა საქართველო რუსი ხალხის სულიერი ცხოვრების განუყოფელ ნაწილად, გადაკვეცა სამარადისოდ.

მე-19 საუკუნის დიდმა რუსულმა ლიტერატურამ საქართველოს აზიარა რუსული პოეზია და ეროვნებით — მსოფლიო ლიტერატურაც.

ორმა შერისხულმა დიდმა პოეტმა, რომლებიც ბედმა თუ უბედობამ საქართველოში გადმოხვეწა, გზა გაუკვალა ჩვენი ხალხების იმ სულიერ დაახლოებას, ბედმა გაფართოება და გაღრმავება რომ არგუნა წილად.

გავა დრო, და სერგეი ესენინი კავკასიას „რუსეთის პარნასს" დაარქმევს. ჩვენი დროის მეორე გამოჩენილი რუსი პოეტი ნიკოლოზ ტიხონოვი კი იტყვის: „არის ქვეყნები, რომლებსაც განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭებათ სხვა ქვეყნებისათვის... აეთი ქვეყნებიდან ერთ-ერთი ქვეყანა, რომელსაც ევროპელი განსაკუთრებულ აზრს აქცევს, ჩემი აზრით, იტალიაა. რუსი პოეტების იტალია კი უდავოდ საქართველოა".

დიდ რუს მწერალთა უმრავლესობისათვის შემოქმედებას საქართველოს მადლი ატყვია.

ლ. ტოლსტოიმ თბილისში დაწერა თავისი „ბავშვობა".

მარქსმ გორკიმ სამწერლო ნათლობა თბილისში მიიღო. აქ დაბეჭდა მან თავისი პირველი მოთხრობა.

გორკის შემდეგ საბჭოთა ეპოქა დიდი პოეტები — მაიაკოვსკი და ესენინი ახლებურად აკითარებენ პუშკინისა და ლერმონტოვის ტრადიციებს, შესანიშნავ ლექსებს წერენ საქართველოზე, მეგიდრო კონტაქტებს ამყარებენ ქართველ პოეტებთან.

მათ კი მოსდევს მთელი პლეადა: ტიხონოვი და პასტერნაკი, ანტოკოლსკი და ზაბოლოცკი... მათ ლექსებში საქართველოთან რუსი პოეტების მეგობრობა ახალ თვისებებს იძენს. ისინი არ სჯერდებიან იმას, რომ ლექსებს აწერენ ქართულ თემაზე. ისინი თარგმნიან ქართულ პოეზიას რუსულ ენაზე. ამ თარგმანებს უაღრესად დიდი რეზონანსი ჰქონდა: ისინი მყისვე იწვევდნენ სრულიად საკავშირო ინტერესს ქართული პოეზიისადმი, და საბჭოთა სამთავრობლო ხელოვნების ნიმუშები ხდებოდნენ.

ტიხონოვის თაობიდან ესტაფეტას იღებენ სიმონოვი და ლებედევი, დუდინი და მეეროვი, დერეკავინი და ტარკოვსკი, სოლოუხინი და ვინოკუროვი, ევტუშევკო და ახმადულინა, სოკოლოვი და კენიაევი, ნიკოლაევსკაია და მაქსიმოვი, რიაშენცევი და სინელნიკოვი.

ბარე ორასი წლის ესტაფეტა ადასტურებს, რომ ჩვენი ორი ხალხია, ჩვენი ორი ლიტერატურა სულიერ მიზიდულობას ორმა ფესვები აქვს გადგმული. ჩვენს საბჭოთა პირობებში ამ სულიერ მოყვრობას ახალი ახრი ენიჭება, იგი ლენინურ ინტერნაციონალიზმს ეფმიანება.

ჩვენ გულწრფელ მადლობას მოვუხსენებთ რუს პოეტებს მათი შთაგონებული შრომისათვის, საქართველოს სიყვარულისათვის, მათი ესანიშნავი მეგობრობისათვის, ჩვენდამი, ჩვენი მშრომელი ხალხისადმი ერთგულებისათვის.

დაე, მარად მაღალი პოეზიის შუქი აციაკროვნებდეს ჩვენს მეგობრობას.

გაუმარჯოს რუსულ მუზას!

* * *

კრიტიკოს გიორგი მარგველაშვილს სალამო „დიდი რუსი მწერლები და საქართველო" ისე მიჰყავს, გეგონება რუსეთისა და საქართველოს პოეტებია სულიერი ურთიერთობის წიგნს ფურცლავსო. პოეზიაზე შეყვარებული კაცის მეზნებარე სიტყვა და ლიტერატურათმცოდნის ზუსტი კომენტარი შესანიშნავ წიგნად კიბამავს ამ ფურცლებს.

პირველი ფურცელია „ვლადიკავკაზიდან თბილისამდე", ჩრდილოეთიდან, რუსეთიდან საქართველოში მომავალი გზა, გზა, რომლითაც მოდიოდნენ დიდი ქვეყნის დიდი მამულიშვილები.

პუშკინის „ზავავ" კითხულობს ირაკლი ანდრონიკოვი. რუსულ პოეზიაში ეს არის პირველი სიტყვა ხალხთა ძმობისა და ერთობის დიად გზაზე. შემდეგ კი მოჩანს საქართველოსადმი შეძღვნილი რუს პოეტთა ლექსების ბრწყინვალე ანთოლოგია. პუშკინის ლექსები „საქართველოს მთებზე...", მაიაკოვსკის „ვლადიკავკაზიდან თბილისამდე", პასტერნაკის „ჩვენ ვიყავით საქართველოში". ეკენინის ნაზი და შთაგონებული ქნარი — რუსეთის ეპოსი და ლირიკა...

პოეტები მიხეილ დუდინი, მარკ აფსიმოვი, ბელა ახმადულინა, ელენე ნიკოლაევსკაია, ევგენი დოლმატოვსკი კითხულობენ ლექსებს საქართველოზე. წინამორბედთაგან მიღებულია ესტაფეტა, მიღებულია მღელვარებით, უდიდესი პასუხისმგებლობის გრძნობით. საქართველოს თემას თანამედროვე რუს პოეტთა შემოქმედებაში სულაც არ ეთქმის ხარკი, ფორმალურად რომ უჯდიან ხოლმე ტრადიციას, ეს უაღრესად პირადი თემაა, მემკვიდრეობითობის უღრმეს სულიერ კავშირად მიჩნეული. „თუ კავკასიაში წასვლა, იქიდან პოეტად დაბრუნდები", — წერდა ლერმონტოვი რაევსკის. სახელოვან პოეტებთან — ლერმონტოვი, გრიბოედოვი, პოლონსკი, ბლოკი, ახმატოვა —ერთად თანამედროვე რუსეთი ასახელებს პოეტებს, რომლებიც საქართველოს პოეტურ ალმოჩრენას განაგრძობენ. ესენი ალიან ტახონოვი, ზაბოლოცკი, სმელიაკოვი, ლუკონინი, ევტუშენკო, ვოზნესენსკი...

— რა შეიძლება დავუმატოთ ამ ნათქვამ ლექსებს,—თქვა პოეტების გამოსვლის დასასრულს კონსტანტინე სიმონოვმა. — მადლობა ქვეყანას, რომელმაც პოეტებს ამდენი მშვენიერი ლექსი დაწერინა. მადლობა ქართველ მეგობრებს, საკუთარი პოეზიის სიყვარულიც რომ იციან და რუსულისაც; მიჯნურ რაინდებს, ეს შესანიშნავი შეხვედრა რომ მოაწყეს.



სურათზე: საქართველოში საბჭოთა ლიტერატურის დღეების მონაწილენი ეცნობიან ლია ციხაძე. გინზბურგის ფოტო.

საღამოს „დიდი რუსი მწერლები და საქართველო" დაესწრნენ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი ვ. სარაძე, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ო. ჩერქეზია. (საქინფორმი).

საკავშირო ინფორმაცია

საკვლევი იტყობინება

თანამედროვეობის მთავარი პროგლემები

პარიზი. (საკადესი). იუნესკოს გენერალური კონფერენციის XX სესიის საერთო პოლიტიკურ დისკუსიაზე სიტყვა წარმოთქვა საბჭოთა დელეგაციის მეთაურმა, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ ი. ნ. ზემსკოვმა. სსრ კავშირის საგარეო პოლიტიკის სამშვიდობო კურსის დახასიათებისას მან მოიყვანა ლ. ი. ბრეჟნევის სიტყვები: „საბჭოთა კავშირი მტკიცედ ადგას მშვიდობის გზას. ჩვენ აქტიურად და დაბეჯითებით ვუჭერთ მხარს იმას, რომ ბრძოლას ველზე, შეიარაღების კონკურენციაზე კი არა, მშვიდობიანი შრომის სფეროში წყდებოდეს სოციალიზმისა და კაპიტალიზმის კამათი. ჩვენ გვინდა, რომ ამ ორი სამყაროს გამყოფ საზღვრებზე ბირთვულ მუხტიანი რაკეტების ტრასები კი არა, ფართო და მრავალმხრივი თანამშრომლობის ხიდი გაიდოს მთელი კაცობრიობის საკეთილდღეოდ. ამ პოლიტიკის თანამიმდევრული განხორციელებით ჩვენ ვასრულებთ ოქტომბრის ერთ-ერთ უმთავრეს

მეგობრულ ვიზიტად

პანოი, 31 ოქტომბერი. (საკადესი). დღეს სალამოს ვიეტნამის დედაქალაქის პრეზიდენტის სასახლეში სსრ კავშირში ოფიციალურ მეგობრულ ვიზიტად ვიეტნამის სოციალისტური რესპუბლიკის პარტიისა და მთავრობის დელეგაციის გაცილების საზეიმო ცერემონია გაიმართა.

ვიეტნამის სოციალისტური რესპუბლიკის პარტიისა და მთავრობის დელეგაცია ვიეტნამის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ლე ზუანისა და ვიეტნამის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრის, ვიეტნამის სოციალისტური რესპუბლიკის მთავრობის პრემიერ-მინისტრის ფამ ვან დონგის მეთაურობით საბჭოთა კავშირში ჩავა სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და საბჭოთა მთავრობის მიწვევით.

დაძაბულობა გრძელდება

ნიუ-იორკი, 1 ნოემბერი. (საკადესი). ირანის მეტ წილ ქალაქებში კვლავ დაძაბული ვითარებაა. მრავალთასიანი დემონსტრაციები გაიმართა თეირანში, მეშჰედში, აბადანში, სენენდეჯში, აჰვაზსა და სხვა ქალაქებში. როგორც იუნაიტედ პრეს ინტერნეშნლის კორესპონდენტი თეირანდან იუწყება, გუშინ ქალაქ სერა-პოლ-ოჰაბში ხისხლისმღვრელი შეტაკებების დროს მოკლულია 25, პავში კი — 11 კაცი. ასობით კაცი დაიჭრა. ეს შეტაკებანი მოხდა მმართველი რეჟიმის მომხრეებსა და დემონსტრანტებს შორის, რომლებიც მოითხოვენ სამხედრო წესების გაუქმებას და ყველა პოლიტიკური პატიმრის განთავისუფლებას.

ქვეყანაში არ ნელდება საგაფიცვო მოძრაობა, რომელმაც ბევრი სახელმწიფო და კერძო დაწესებულება, სამრეწველო საწარმო, ბანკები, საავადმყოფოები, სასწავლებლები მოიცვა. როგორც პრესა ატყობინებს, გაფიცულთა საერთო რიცხვი მილიონს აღემატება.

ნავთობისა და ნავთობგადამამუშავებელი მრეწველობის მუშა-მოსამსახურეთა გაფიცვის შედეგად დროებით შეწყდა ნავთობის ექსპორტი.

ციხეკური გადაწყვეტილება

ეგრაელთა და არაბთა თვალსაჩინო მოღვაწეთა პროტესტი

რომი. (საკადესი). ისრაელი კომუნისტები ციხეკურს უწოდებენ გადაწყვეტილებას მ. ბეგინისათვის მშვიდობის ნობელის პრემიის მინიჭების შესახებ, განაცხადა ტელ-ავივში გამოსვლისას ისრაელის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა მეირ ვილნერმა.

სწორედ ასე შეიძლება შეეფასოთ მშვიდობის პრემიის მინიჭება ისეთი მთავრობის მეთაურისათვის, რომელიც ეწევა პალესტინელი არაბი ხალხის ეროვნიურ ოკუპაციასა და დამონებას, და სულ ექვსიოდე თვის წინ ბარბაროსულად შეუსია ჯარები ლიბანს, რასაც მრავალი მსხვერპლი მოჰყვა, ხანი გაუსვა მან. ამ გადაწყვეტილების ცინიზმი განსაკუთრებით თვალსაჩინოდ მოჩანს ისრაელის პრემიერ-მინისტრის ბოლოდროინდელი გამოსვლების ფონზე, როცა იგი აცხადებდა, რომ ისრაელმა უნდა გააფართოოს კოლონიური დასახლებები ოკუპირებულ ტერიტორიებზე, აგრეთვე იმის შესახებ, რომ ისრაელი არასდროს არ ეთმობს ამ მიწებს და პალესტინელებს არ შეაქმნევინებს დამოუკიდებელ სახელმწიფოს.

— ჩვენ, ქვემორე ხელმომწერნი, ებრაელები და არაბები, პროტესტს ვაცხადებთ ისრაელის პრემიერ-მინისტრის ბეგინისათვის მშვიდობის ნობელის პრემიის მინიჭების გადაწყვეტილების გამო, — ნათქვამია ისრაელის 30 თვალსაჩინო მოღვაწის განცხადებაში.

აგრესორის ხელშეწყობით

ბეირუთი, 31 ოქტომბერი. (აგგესი). მემარჯვენე ქრისტიანთა შეიარაღებული შენაერთების პროვოკაციების შედეგად ლიბანის დედაქალაქში მდგომარეობა კვლავ აფეთქებასაშიშია. გასულ დღე-ღამეში შიაჰის, აინ არ-რუმანის, დეკვანის და სხვა რაიონებში ბევრჯერ ატყდა ინტენსიური სროლა სხვადასხვა სახეობის იარაღის გამოყენებით.

ქალაქის აღმოსავლეთ უბნებში აქტიურად მოქმედებენ კონსერვატორთა სნაიპერები, რომლებსაც შიშში აყავთ მშვიდობიანი მცხოვრებები. მემარჯვენე ქრისტიანმა არამზადებმა ბეირუთის სომეხთა რაიონში ბურჯ ჰამუდში პროვოკაციულად გამოიწვიეს ახალი შეიარაღებული ინციდენტები, რასაც მსხვერპლი მოჰყვა.

ეს ვირტუოზთა ანსამბლია!

ჟენევა, 30 ოქტომბერი. (საკადესის კორ.). დაუცხრომელი ოვაციებით მიესალმებიან შვეიცარიელები **თბილისის პოლიტექნიკური ინსტიტუტის ეოკალურ-ქორეოგრაფიული ანსამბლს „თბილისის" გამოსვლებს,** რომელიც შვეიცარიაში ჩამოვიდა ამ ქვეყნის სივადასხვა ქალაქმი მიძღინარე საბჭოთა კავშირის კვირეულში მონაწილეობის მისაღებად.

საბჭოთა კავშირის კვირეული, რომელიც წვეიცარიისა და საბჭოთა კავშირის კულტურული ურთიერთობის გაგეთობრების ასოციაციის ინიციატივით ტარდება, უკვე კარგი ტრადიცია გახდა ორი ქვეყნის ურთიერთობაში. დღოდაღრო შვეიცარიელ ხალხთან სტუმრად ჩამოდიან ახალგაზრდა საბჭოთა მოკავშირე რესპუბლიკების წარმომადგენლები. წელს დიადი მრავალეროვანი საბჭოთა სახელმწიფოს წარმომადგენლობის პატივი ხვდა საქართველოს სსრ რესპუბლიკის წარმოგზავნილთ.

ქალაქ ნიონში მოეწყო კვირეულის საზეიმო გახსნა. მასში მონაწილეობა მიიღეს ქვეყნის პოლიტიკური დეპარტამენტის (საგარეო საქმეთა სამინისტროს), კანტონ ვოს ხელისუფალთა და ქალაქ ნიონის მუნიციპალიტეტის წარმომადგენლებმა. ცერემონიას ესწრებოდა აქ მყოფი საბჭოთა დელეგაცია საქართველოს უმაღლესი საბჭოს დეპუტატის, საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს მდივნის **ზ. ა. კვაჭაძის** მეთაურობით.

სსრ კავშირის კვირეულის მსვლელობაში ეწყობა საბჭოთა ქვეყნის წარმოგზავნილთა ნახვედრები შვეიცარიის მოსახლეობასთან, ადგილობრივ ხელისუფალთა წარმომადგენლებთან. დიდი ინტერესით საგგებლობს **ხალხთა** ელოვანი ეროვნული ბრძოლა, ეროვნული ეკონომიკა, ეროვნული ენა, ეროვნული ლიტერატურა, ეროვნული ფერწერ